წელიწადი პირველი. ფასი 7 კაპ. კვირა, 25 ოქტომბერი 1915 წ. № 126

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакці „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 4 მანეთი.

დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ოქტომბრიდან წლის დამლევამდე ღირს 2 მ.—70 კ. მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, почт. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

„ახალი კლუბის“

მამასახლისთა საბჭო

ამით აუწყებს „ახალი კლუბის“ წევრებს, რომ 18 ღვინობისთვის დანიშნულ

საგანგებო კრების

გაგრძელება დანიშნულია ამა ღვინობისთვის 25; „ახალი კლუბის“ შენობაში დღისით 12 საათზე.

განსახილველი საკითხები: 1) კოოპერაციის „მეურნი“-ს მოხსენება და 2 არჩევნები მუდმივ სტუმრებისა.

მეხილეთა კოოპერატიული ამხანაგობა ქართლი

მაღაზია

პუშკ. ქ. სემინარიის ძველი შენობა.

მუდმივად გვაქვს წევრებისაგან ყოველნაირი ჯიშისა და ხარისხის ხილი.

თაფლი უცეცხლო და ცენტროფუგისა.

ღიაა დილის 8 საათიდან—საღ. 9 საათ. კვირა-უქმე დღეს დილ. 11 სათ. 4 საათ.

დაიაქი

სალდათის ბაზარი (იარმუკა), მუხრანბატონის სახლის ეზოში.

ამხანაგობის გამგეობა ამით აუწყებს სოფლის მეურნეთ, რომ თანახმად ამხანაგობის საზოგ. კრების დადგენილებისა მან დაიწყო დაიაქით ვაჭრობა, (საკომისიო ვაჭრობა) სასოფლო მეურნეობის ნაწარმოებით. პირობები იკითხეთ მაღაზიაში და დაიაქზე.

ღიაა დილის 6 ს. საღ. 7 საათამდე.

გამგეობის წევრებთან პირადად მოსალაპარაკებლად საღ. 8—9 საათ.

ამერიკული ვაზი

თ. დ. ჩოლოყაშვილის ჭიაურის მამულში, კახეთში, სიღნაღის მაზრაში, გაშენებულ სანერგეში იყიდება სხვა და სხვა ჯიშის ამერიკული ვაზის რქა და სამყნელად მომზადებული იმავე ვაზის ფესვიანი ძირები; აქვე იყიდება გარეული კომშის ნერგი სამყნობად.

შეკვეთა და პირობების გაგება შეიძლება შემდეგი მისამართით: Тифлисъ, улица Бѣлинскаго, № 2, Ираклію Тазіеву. 10—9

პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ, პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

გადაწერას საწერ მანქანის საშვალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს

ი. თ. გვათუას კანტორა

ვერის დაღმართი № 1

ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—6 საათ, ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

კბილის ექიმმა

მამულაიშვილი

(ხოდნევისამ)

განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.

ოლღას ქუჩა, № 22.

ქ. გორში

ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

ექიმი

გ. მ. მუხაძე

იღებს სადოსტაქრო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა

ახალი აფთიაქი

პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი

მ. დ. წინამძღვრიშვილი

უ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და

იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქუჩა № 36, მეორე სართული.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.

ვკისრულობთ

გადავაკეთოთ, გავწმინდოთ და ახლათ შევღებოთ საქალებო და სავაჟო ქუდები

სპეციალურად ვწმენდავთ სავაჟო „კოტელოკებს“ და „ცილინდრებს“.

აგრეთვე ვწმენდავთ პლიუშს, ხავერდს, და ვაყენებთ ბინგლს.

ვახუჭუჭებთ და ვწმენდავთ სირაქლემას ფრთას და ბოას.

ქუდების სახელოსნო დ. გ. გვახარიასი

გოლოვინის პროსპ. № 39.

სახელოსნოს ქალაქში სხვა განყოფილება არ მოიპოვება.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის

ქარხნები

მ. ე. ლალიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლალიძის და ამხანაგობის ქარხნის საუკეთესო ხილეულ მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლალიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლალიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

საჭიროა

მოსამსახურე, ქალი თუ ვაჟი სულ ერთია

ადრესი: გაგება შეიძლება რედაქციის კანტორაში ორიდან სამს საათამდე.

საჭიროა

რემენგტონზე მომუშავე ქალი

მიჰმართეთ ელისაბედის ქუჩა № 65 ოთხიდან ხუთს საათამდე. ბინა № 1

იყიდება

ხელმისაწვდენ ფასებში

ორი საწერი მაგიდა

ელისაბედის ქუჩა № 65. ბინა გძელიშვილისა.

## ბუშმენებს ერთგულებისას

აჭარელთა საკითხი პრესაში, თანდათან არა-სასურველ დასასრულს ღებულობს და საზოგადოების მისდამი დამოკიდებულებაც რთულდება. სახეში გვაქვს ის გარემოება, რომ საქმე ისეთ ხალხთან და ისეთ პოლემისტებთან შეგვემთხვა, რომელთანაც ცოტა მორიდებითაც უნდა ვიყოთ.

უნდა გამოვტყდეთ, რომ სიმართლეს ჩვენ ეხლა არვინ გვათქმევინებს და უამისოდ კი ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

მაგრამ არის ერთი რამ, რაც უნდა ვსთქვათ, რათაც უნდა დაგვიჯდეს. უნდა ვსთქვათ, ჯერ ერთი, მიტომ, რომ ყველაზედ ძლიერად ნათქვამი სწორედ ეს იქნება და ამაზედ მეტი სათქმელიც არ გაგვაჩნია.

ბ. სემიონოვის განცხადება—აჭარლები მოღალატენი არიანო, ჩვენთვის სამწუხარო უნდა იყოს, რადგანაც აჭარა საქართველოა და აჭარლები ქართველები.

მაგრამ ჩვენის მხრივ ისიც უნდა ვსთქვათ, ვინ არის თვით ბ. სემიონოვი და ვინ არიან საზოგადოთ ის ვაჟ-ბატონები, რომლებიც ასე საკინძ ჩამოხსნილები ლაპარაკობენ სხვის ღალატის შესახებ.

ბ. სემიონოვი ამბობს, რომ მოქალაქემ არ უნდა უღალატოს სახელმწიფოს, მაგრამ სემიონოვი რომ ამით თავის რწმენას ამბობდეს, ეს ჩვენ საეჭვოდ მიგვაჩნია, რადგანაც გაზეთი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ამის წინააღმდეგ საბუთს იძლევა.

ჩვენ უნდა ვსთქვათ, რომ არც ერთ ქართველს, ქრისტიანი იქნება ის, თუ მაჰმადიანი, არ უღალატნია სახელმწიფოსთვის და ამის მოწმობა ჩვენ უკვე გვაქვს, სასამართლოს განაჩენის სახით, იმავ აჭარელთა პროცესის გამო. ბ. სემიონოვის მორალი ერთგულებისა კი რომ უნაკლო არ არის, ეს სჩანს თუნდა იქიდან, რომ გაზეთი, რომელსაც ის ხელმძღვანელობს, ხელს უწყობდა ისეთ მოვლენას, რომელიც ერთ ადგილას შეიძლება დასაძრახისი არ იყო, მაგრამ მეორე ადგილას სწორედ იმის გამომხატველია, რის წინააღმდეგაც ილაშქრებს ბ. სემიონოვი.

ამიტომ ჩვენ უნდა ვსთქვათ ისიც, რომ პატრიოტიზმის ეთიკის თვალსაზრისით და მოქალაქის სახელმწიფოსადმი ერთგულების თვალსაზრისით ბ. სემიონოვი ის პირწავარდნილი ბუშმენია, რომელიც აჭარელების საკითხში მსაჯულად ვერ იქნება.

და ჩვენ უნდა ვსთქვათ აგრედვე ისიც, რომ ამის მეტს ამ ჟამად ჩვენ ვერაფერს ვიტყვით.

## გულსაკლავი უმოქმედობა

ყველას ეხსომება, თუ რამდენი მელანი დაიხარჯა ამ ექვსიოდე წლის წინად ჩვენი მწერლობით შემოქმედების დაკნინების მიზეზების გამოსარკვევად. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი, ვისაც წერის შემძლედ თავი მოჰქონდა რომ მოვალეობად არ დაესახა თავისი აზრი არ გამოეთქვა და ხსნისა და განკურნების უებარი რეცეპტი არ გამოეწერა. წერილებში გაისმოდა გულწრფელი ჰანგი წუხილისა და აღტყინებული ძიებისა. თითქოს ყველას გულში ჩაწვდაო შემოქმედების წყაროს დაშრეტის დიდი უბედურება, თითქოს ყველამ მტკივნეულად იგრძნო-განიცადაო ამ დიდი ნაკლის საბედისწერო შედეგი და აღეძრაო დაუმარცხები და ჩაუმდგარი ჟინი მუშაობისა და სურვილი ამოქმედებისა. ასეთ გრძნობა-აწეულ და ახურებულ საზოგადოებრივ ატმოსფეროში იშვა ეგრედ წოდებული **ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოება**. ამ საზოგადოებას უნდა შემოეკრიბნა ძველი და ახალი ძალები, ვისაც სამწერლო ასპარეზზე ღირსეული ნიჭი და შემოქმედება გამოეჩინა, შეექმნა ჩვენ მწერლებისათვის თვით-გამორკვევისა და თვითგანვითარების პირობები, ემართნა ლექციები თვითშემოქმედების ფსიხოლოგიური პროცესზე; ამ საზოგადოების სხდომებზე მწერლებს უნდა ეკითხნათ თავიანთი ნაწარმოებნი და წაკითხულის თაობაზე გაებათ საუბარი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ამ საზოგადოებას უნდა გამოეცა სპეციალი ორგანო, სადაც მონაწილეობას მიიღებდა ყველა მწერალი და სხვ. და სხვ. ერთი სიტყვით, ეს საზოგადოება უნდა ყოფილიყო სალიტერატურო სალონიც, სალიტერატურო სკოლაცა და აკადემიაც. ასეთი ორგანიზაციის შექმნა ჭეშმარიტად ღირსშესანიშნავ მოვლენად იქმნა მიჩნეული და ყველა დიდის ხალისით და აღტაცებით მიეგება. ყველა მოელოდა რომ კითხვას მოწყურებული ქართველი საზოგადოება ეღირსებოდა სალიტერატურო მხატვრულ ნაწარმოებთა პერიოდულ კრებულებს, ეღირსებოდა არა-პერიოდიულ გამოცემებსაც და რომ ამით თითოეულ ქართველს შეემტებოდა სიამაყე, როდესაც დარწმუნდება, ქართველის ბუნებაშიაც ძლიერი ყოფილა შემოქმედების ჩქეფვა, როდესაც დარწმუნდებოდა რომ ქართულის დამარხულ ნიჭს, რა მოეცემოდა ცოტაოდენი საშუალება და ხეირიანი პირობა, შეეძლო გამოეცა კოხტა ნიმუში ლამაზი შემოქმედებისა! ამ საზოგადოების ნაყოფიერობა დიდი სტიმული იქნებოდა საერთო საზოგადოებრივ პსიხიურ ამოქმედებისა და ერის სულიერ კეთილ-განწყობილებისთვის! ამ ორგანიზაციას შეეძლო უთუოდ დიდი როლი ეთამაშნა ქართულ შემოქმედების გაფურჩქვნაში და საერთოდ ქართული აზროვნებისა და გემოვნების დაწინაურებაში. ყველა ამ იმედით შესცქეროდა ახლად შობილ საზოგადოებას და სწამდა კიდეცა რომ ეს იმედი არ გაუცრუვდებოდა.

საერთო სიმპატიისა და დახმარების ატმოსფეროში, ამ კეთილი საქმის განხორციელება სულ ერთიანად დამოკიდებულიყო სიტყვა-კაზმულ მწერლობის საზოგადოებისა დ მის გამგეობის თითეულ წევრის თვითმოქმედების ღირებულებაზე. და რადგანაც ამ საზოგადოებას ისეთი პატივცემული პირები მოექცა სათავეში როგორიც ბრძანდებიან ბ-ნი გ. რცხილაძე. შ. არაგვისპირელი, ი. ვართაგავა, კ. მაყაშვილი და ს. გორგაძე, ამიტომაც ყველას საბუთი ჰქონდა ეფიქრნა რომ ამ საზოგადოებას საკმაოდ გამოაჩნდებოდა წმიდა სუბიექტიური პირობა, წმინდა შინაგანი ღირებულება დასახული მიზნის გასანაღდებლად.

მაგრამ აქაც მოვსტყუვდით! პირველ ხანებში აპილპილებული გრძნობა მალე ჩაჩუმდა. პირველ ხანებში გამოჩენილი სიცოცხლის ნიშნების მოქმედები მალე განქარდა და მოდუნდა! მალე შესწყდა სხდომები, პირველ ხანებში რომ იმართებოდა, სადაც ჩვენი მწერლები თავიანთ ნაწარმოებს კითხულობდნენ! გამოსცა ორი საინტერესო კრებული „გრდემლი“, კიდევ ერთი-ორი ნაწარმოები: ი. გრიშაშვილისა და ბესიკისა. ის იყო და ის. ამის გარეშე და მას აქეთია ამ საზოგადოების არსებობის ნიშანი არ დაგვინახავს; ეს რამდენი ხანია გატრუნული უმოქმედოდ ზის! თუ მას ძარღვში სისხლი გამოლევია და მოქმედება აღარ შეუძლიან, ვიცოდეთ ესეც და მოხდეს ბარემც საზოგადო სალიკვიდაციო კრება! თუ არა და, დააღწიოს თავი საღათას ძილს, განახლდეს სულით, დაუძახოს თვის წევრებს და დაადგეს ცხოველმყოფელ თვითმოქმედების გზას.

ქართველ საზოგადოებას კითხვა სწყურია, სწყურია ქართული წიგნები, ქართული შემოქმედების ნიმუშები. მივსცეთ მას მაქსიმუმი იმისა, რაც ჩვენს ძალღონეს და შემოქმედებას შესწევს. ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის საზოგადოებაც სწორედ ამ მიზნით იყო დაარსებული. და სწორედ რომ იშვიათი დანაშაულობაა ასეთ დროს და ასეთ გარემოებაში მისი გულსაკლავი უმოქმედობა!

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### ზავზე.

ამბობენ, თითქოს ზავზე მოლაპარაკების მეთაურობა პაპის ეკუთვნოდეს. მას წინადადება მოუცია გერმანეთისათვის შეამუშავე ზავის პირობებიო. ამის თაობაზე მარკეტის ჰგზავნის ლუცერანში, იქვე მივა თავადი ბიულოვი. ზავის პირობების შემუშავებას სამ-ოთხ კვირას მოუნდებიან. შემდეგ პაპის გაგზავნილი კაცი ყველა სახელმწიფოებს ამცნობს გერმანეთის პირობას ზავის ჩამოსაგდებად.

ამავე დროს გერმანეთი შუამდგომლობს ამერიკის მთავრობის წინაშე, რათა ამერიკის ელჩმა ვილსონმაც მიიღოს მონაწილეობა შუამდგომლობაში. ამბობენ ვილსონის და პაპის გამოსვლა, ერთსა და იმავე დროს მოხდებავო.

### ბულგარეთი ფუთვლის.

ბულგარეთის მთავრობას შეუთვლია საბერძნეთის მთავრობისათვის, ნეიტრალიტეტობას ყურადღებას არ მივაქცევ უკეთუ მოწინაალმდეგენი საბერძნეთის ტერიტორიაზე დაიწყებენ მოქმედებას, ან სერბები საბერძნეთის ტედიტორიაზე გადმოვლენო.

### რუმინეთის საზღვარზე.

ბუქარესტიდან იუწყებიან: კლადოვაში დუნაის ნაპირზე გერმანელნი სდგავენ მძიმე არტილერიას, რომელიც რუმინეთის სანაპიროებისკენ მიუმართიათ.

### ბოიაჯევის ლაშქარი.

რუსეთის გაზეთების სიტყვით სერბნი აჩერებენ ბოიაჯევის ლაშქარს. სერბეთის მდგომარეობა ამ ხანად მეტად სერიოზულია, მაგრამ არა იმედ მიხდილი. სერბნი უკან სტრატეგიული მოსაზრებით იხევენო.

### გერმანული გაზეთები ბალკანეთის შესახებ.

გაზეთი „Tag“ ამბობს, სერბთა ლაშქარს რკინის სალტე აქვს გარს შემორტყმული; შეუძლიან სრულ წახდენას თავი დააღწიოს, უკეთუ სამხრეთ-დასავლეთით მთაშავეთში ან კიდევ ჩრდილოეთ-სამხრეთით საბერძნეთისაკენ დაიხევს.

### რუმინეთში.

დღევანდელ მდგომარეობის გამო რუმინეთმა გადაწყვეტილი ნაბიჯი უნდა გადასდგას. მის გამოსვლას დღე დღეზე ელიან. ამ დღეებში პეტროგრადს უნდა მივიდეს რუმინთა ელჩი დიამანდი. მის მოსვლას საყურადღებოდ სთვლიან.

### ბულგარეთის მუქარა

ბულგარეთის პრესა ათავსებს წერილებს მოკავშირეთა წინააღმდეგ და ამბობს: ბულგართა ლაშქარი იძულებული იქნება იარაღის ძალით განდევნოს საბერძნეთის მაკედონიიდან მოკავშირეთა ჯარი, თუ ამ საქმის შესრულებას თვით საბერძნეთი ვერ შესძლებსო.

—

მოკავშირეთა ფლოტის მიერ დედეაგაჩის ყუმბარის დაშენის გამო რადოსლავოვის გაზეთი „ნაროდნი პრავა“ აი რას ამბობს: თუ ინგლის-საფრანგეთი კიდევ განიმეორებს თავის განზრახვას, მაშინ ჩვენ თავს მოუყრით ყველა იმ ფრანგ-ინგლისელს, რომელნიც დღემდის ჩვენს ქვეყანაში არხეინად სცხოვრობენ და დედეაგაჩში მათ ძმების მიერ გამოსროლილ ყუმბარათა სამსხვერპლოდ დავაყენებთო.

### გერმანეთის გეგმა

გერმანეთის გეგმით მაკენზენის ჯარი უნდა შეუერთდეს ოსმალეთის ჯარს და შემდეგ გაილაშქრონ ეგვიპტის წინააღმდეგ, რათა ამით სასიკვდილოდ დასჭრან ინგლისიო.

—

როგორც ამბობენ, როდესაც სერბეთს ორივე მხრიდან ჯარი მიაწვა, მცხოვრებნი ჰახრაკში მოჰყვნენ და დიდი უბედურება დაატყდა თავს. არ იცოდნენ საით გაქცეულიყვნენ და როგორ დაეხსნათ თავიო.

—

უკანასკნელ ცეპელინების რიგაზე გალაშქრების დროს გამოირკვა, რომ გერმანელებს დვინაზე ხიდეების აფეთქება ჰსურდათ. ღამით 10 ოქტომბერს გამოჩნდნენ ხიდთან და აუარებელი ყუმბარები ჩამოყარეს, მაგრამ უშედეგოდ. გერმანელები თავიანთ ჰაეროპლანებს დიდად უფრთხილდებიან. ღამე სინათლეს აქრობენ, არტილერიის სროლა თავიდან აიცილონ. ამ ბოლო დროს ფრთებს მეტად გამსჭვირვალეს უკეთებენ, რათა ძნელად შეამჩნიოს მოწინააღმდეგემ. აგრეთვე მთელს ცეპელინს ჰღებავენ იმნაირად, რომ თვალი ვერ ამჩნევს.

### სერბეთში.

გერმანული წყაროს ცნობით, სერბეთში გერმანეთის ჯარის მოქმედება ხელსაყრელ პირობებში მიმდინარეობს, სწორედ ისე როგორც ეს ნავარაუდევი ჰქონდა გერმანულ გენერალურ შტაბს. მთელი ჩრდილო სერბეთი დღეს ავსტრიელ-გერმანელების ხელშია. მდ. დუნაიზე უკვე მოხდა ავსტრიელთა და ბულგართა ჯარების შეერთება. დუნაისა და სავას სამხრეთით სამოქმედო ასპარეზი დაცულია ყოველგვარ ხიფათისაგან. სასურველად მიმდინარეობს მდ. დრინაზე

სამხედრო მოქმედება, რომელიც მიმართულია სერბეთის შუაგულის წინააღმდეგ. სერბები მალე იძულებული გახდებიან იარაღი დაჰყარონო. სერბეთის ჯარი უკუ იხევს პროშცინისა, მიტროვიცისა და მთაშავეთისკენ.

**ბრიანის კერძოდ ნათქვამი.**

საფრანგეთის ახალი სამინისტროს პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა განაცხადა, რომ სამინისტროს გამოცვლა სრულებით არ ნიშნავდა საფრანგეთის პოლიტიკის კურსის შეცვლას. საფრანგეთის პოლიტიკა შეიძლება ერთ სიტყვაში გამოითქვას: სიტყვა „გამარჯვებაში".

---

„Echo de Paris" სწერს ახალ სამინისტროს გამოცვლის შესახებ: საჭიროა მეთოდის შეცვლა, რადგანაც არა მარტო საფრანგეთის პრესამ, არამედ ინგლისისა იტალეთისა და რუსეთის პრესამაც დაჰგმო ის სისტემა რომელმაც ასეთი მარცხი მოუტანა შეთანხმების სახელმწიფოებს ბალკანეთის კუნძულზეო.

---

ინგლისური გაზეთი გვამცნობს: ომის დაწყებიდან დღემდე ცეპელინები ინგლისის ტერიტორიას 23-ჯერ თავს დაესხნენ. 630 კაცი დაასახიჩრა და მათს რიცხვში 178 მოეკლათ. ამას წინედ ცეპელინები ინგლისის სატახტო ქალაქს ლონდონს დაესხნენ თავს 127 უბედური შემთხვევა მოახდინეს, 23 კაცი მოჰკლეს.

## უკანასკნელი ფოსტა

**ახალი ალბატროსები.**

გერმანელთ გამოუგონიათ ახალი ტიპის ალბატროსები 350 ძალისა, თვითეულს აქვს 2 ტყვიისმფრქვეველი და რადიოტელეგრაფი.

**ახალი იერიშის სამზადისი.**

გალიპოლის ნახევარ კუნძულზე მოკავშირენი ახალი იერიშისთვის ემზადებიან. ნახევარ კუნძულზე 25 ათასი ინგლისელი გადმოსხესო.

**საალყო წესები.**

რუმინეთში საალყო წესების გამოცხადებას ელიან.

**„რეჩის" წუხილი.**

საბერძნეთის სამინისტროს კრიზისი დადგა, მაგრამ „რეჩი" ამაშიც დიდს იმედებს ვერ ამყარებს. მეფე კონსტანტინე ძნელად რომ ვინმემ დააჯეროს და გარდაწყვეტილებაზე უარი ათქმევინოსო.

— ათინიდან იუწყებიან, ზაიმისმა მეფეს სამსახურიდან გადადგომის თხოვნა მიართვაო.

---

პარიზიდან იტყობინებიან, ლებურჟთან ორი ჰაეროპლანი დაშვების დროს ერთმანეთს დაეჯახნენ. ოთხი მფრინავი დაიწვაო.

## ბრძოლის ველზედ

გასულ კვირის განმავლობაში სხვა და სხვა ადგილას მომხდარ შეტევ-შემოტევას და ბრძოლათ არავითარი მნიშვნელოვანი ცვლილება არ შეუტანიათ რუსეთ-გერმანეთის ბრძოლის პირის მოხაზულობაში. განვლილი კვირა ბრძოლის მხრივ, უნდა დახასიათდეს როგორც სიჩუმისა და განელების კვირა. ეს უმოქმედობა 19, 20 ოქტომბერში დაირღვა ფრონტის წვერებზე, გალიციაში ბაბიტის ტბის რაიონში, მის ჩრდილო-დასავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით, და აგრეთვე დვინსკის რაიონში. ხოლო 22 ოქტომბერს—ჩარტორისკის რაიონში. ეს შეტაკებები საზოგადოთ ერთი სოფლის დაკარგვა-დაჭერით თავდებოდა. გასულ კვირის განმავლობაში დვინსკის ქვემოდ რიგის ყურესაკენ, მდინარე დვინის გაყოლებაზე რამდენიმე ადგილას გერმანელებმა მდინარის მარცხენა ნაპირი დაიპყრეს, საიდანაც სცადეს ჯარების გადასხმა მარჯვენა ნაპირას. ეს ფაქტი ყურადსაღებია, რომ სიურპრიზად ის არა მივიჩნიოთ, რაც სასიურპრიზო არ არის. დღევანდელი დეპეშა ახალს არაფერს იძლევა, იქ მოთხრობილია უფრო 21 და 22 ოქტომბრის ამბები. 22 ოქტომბრის თარიღით (შტაბის თარიღი), გამოცემულია ცნობა რომ რიგასთან რუსებს წინ წაუწევიათ აკელის ტბის დასავლეთისკენ რომ დღესაც იქ საარტილერიო ბრძოლაა გაჩაღებული. დვინაზე და იაკობშტადტის მდგომარეობა არ შეცვლილა. როგორც დეპეშიდან სჩანს, დვინსკის რაიონში სვენტენის ტბის დასავლეთით მკაცრი შებრძოლება მომხდარა. გერმანელების იერიში სოფ. პლატონოვკაზე რუსებს უკუ უგდიათ.

ეს ერთი კვირაა სერბეთის შესახებ ცნობა არ მოსულა. უკანასკნელად მოსულ ცნობებიდან ის ვიცით, რომ სერბეთის მთელი ჩრდილო ნაწილი ავსტრეთ-გერმანელების ხელშია, რომ სერბეთის მთელ აღმოსავლეთის საზღვრის გასწვრივ ბულგარეთის ჯარი შეიჭრა და სერბეთის შუა გულისკენ მიეშურება, ისიც ვიცით, რომ ბულგარეთის და გერმანეთის ჯარი ერთმანერთს შეუერთდენ, სერბეთის ჯარი ბრძოლის ასპარეზს თანდათან სტოვებს და მთაშავეთისკენ მიეშურება თავის შესაფარებლად, თუ ბელგრადიდან მთაშავეთისკენ გაქანებულმა ავსტრეთის ჯარმა არ დაასწრო და გზა არ გადაუჭრა.

კავკასიის ბრძოლის პირზე ოფიციალი ცნობების მიხედვით, ღირს შესანიშნავი არაფერი მომხდარა. ჯარების მოწინავე ნაწილებს შეტაკება ჰქონდათ შავი-ზღვის პირა რაიონში და თორთუმის ტბის რაიონში.

საფრანგეთის ტერიტორიაზე ჩვეულებრივი საპოზიციო ბრძოლა სწარმოებს.

**მეგრი.**

## შტაბის დეპეშები

**პეტროგრადი.** 23 ოქტომბერი, ოფიციალი. რიგასთან 22 ოქტომბერს რუსის ჯარებმა [illegible]

3 ტყვიისმფრქვეველი. ტყვედ 250 ჯ. [illegible] ტყვედ წამოიყვანეს 3 ოფიცერი და 160 ჯ. [illegible]

ბალტიის ზღვაში რუსის გემები ზარბაზნებს უშენდა გერმანთა პოზიციებს შლოკთან.

**კავკასიის ფრონტი.** მდგომარეობა უცვლელია.

## გამოხვეწილთა საკითხი პეტროგრადში

(წერილი საკუთ. კორესპ.)

[illegible]

მემამულენი, სავაჭრო-სამრეწველო წარმოების, უძრავი ქონების პატრონნი, შეუძლიანთ საბუთების გარდა მოწმეთა ჩვენებანიც წარადგინონ. ბ-ნი ბუდნი წინააღმდეგია ასეთი გამოძიებისა, რადგან მისი აზრით, მოწმეთა ჩვენებით, რო- [illegible] ბუთებზედ იფიქროს კაცმა, როდესაც თავის გადარჩენაზედ ფიქრობს და შეუძლებელიც არის აღმოაჩინოს რაიმე დამამტკიცებელი საბუთები, რადგან ჩვენში განსაკუთრებით ფაქტიური მფლობელობაა ქონებისა და არავითარი საბუ- [illegible]

**ლ. ჯ—ძე.**

პეტროგრ. 18 ოქტ.

## საზოგადოება და კრებები

**მევენახეობა-მეღვინეობის კომიტეტი.**

[illegible] ტის, ვ. ი. ვისნიოვსკის მოხსენება, რომელიც შემდეგში მდგომარეობს: 1) კომიტეტმა ამ ზამთარში უნდა მოაწყოს 35 სოფელში პრაქტიკული კურსები, საცა მსმენელთ შეეძლებათ ამერიკულ ჯიშის ძირებზე ვაზის დამყენა შეისწავ- [illegible]

## დეპეშა

(შემოსულია)

[illegible]

**ლუკაშევი.**

## ახალი ამბავი

[illegible] ყურადღება უპურობას, მით უმეტეს, რომ იგი გამოწვეულია მეპურეთა უსაზღვრო თვითნებობა-თავგასულობით.

◆ რედაქციამ მიიღო კიკნა-ფშაველას ახალი პოემა **„ჟამის ზღაპარი".** ჟურნალ „ახალ მოამბისთვის". პოემა

## ომი ქართულ მწერლობაში

ა

არავის ვმსახურებდეთ, არცა ვემონოთ, გარეშე ღვთისა დამბადებელისა.

ასეთი იყო აღთქმა ქართველი ერის ისტორიულ ცხოვრების გარიჟრაჟზე, ქართლის ცხოვრების გადმოცემით. და ვინ იტყვის, რომ საქართველომ არ იცოდა სიცოცხლე, რომ მან არ იცოდა ბრძოლა და თავისუფლება-სილამაზისათვის არ მიეტანოს მსხვერპლი?

მოდიოდენ, მოდიოდენ, მოდიოდენ!

ვინც აიდგა ფეხი სასიარულოდ,

ვინც იცოდა სიარული,

ვისაც უნდოდა თავის გამოცდა, სიკვდილთან ახლოს დგომა.

გზა მათი იყო საქართველოზე... და საფლავი მათი საქართველო...

იდგა სისხლი მდინარედ და გზა აგავ-და აფთრის ნაკვალევს ხეობაში, ძვლებით მოკენჭილს...

...და საქართველო მეწამულ პორფირს.

რა არი მთელი ისტორია საქართველოსი, თუ არა საბედისწერო დუელი...

ღმერთის უზარმაზარ თეატრში—ქვეყანა ცირკში—იდგა საქართველო, როგორც უკვდავი გლადიატორი. ტანი მისი იყო დაჭრილი და ელავდა მეწამული იარებით, მაგრამ მაინც იდგა და იბრძოდა. რამდენად ძლიერი და მრავალი იყო მტერი, იმდენად ზვიადი და სასტიკი იყო ბრძოლა... მხოლოდ ჭრილობით აჭრელებული გლადიატორი იდგა და არ ტოვებდა ასპარეზს... ძალიან მოკლე იყვენ ანტრაქტები, საუკუნოები მიჰქროდენ მოღლილი ფრთებით და ლოჟებშიც იცვლებოდენ მაყურებლები, შეღებილი გეტერები, აუღელვებელი მატრონები, მშვენიერი კეისრის ცოლები და ჩადრიანი ხანუმები...

შემოქმედი კი, უდიდესი და სასტიკი რეჟისორი, უყურებდა და ტკბებოდა ბრძოლის სილამაზით და იქნება ეს იყო მიზეზი გლადიატორის უკვდავების, მარადი ტანჯვის, ლხენით შეღებილი ტანჯვისა.

ქართველებს უნახავთ ალექსანდრე მაკედონელის ფალანგა, პომპეუსის კოლონები, ნაპოლეონის გრენადერები და რამდენი კიდევ აზიელი დამპყრობელი, რომელთა სახელიც და რომელთა ბრძოლაც იყო სიგიჟე. ქართველები განბანილან განგის წყალში და ნილოსის ლერწმებსაც შესმენიათ ქედ-მაღალი სიმღერა-ყიჟინა.

და ასე ჟამით ჟამამდე, საუკუნითსაუკუნემდე, ქალდეას ცის ქვეშ და კავკასის კალთებზე.

გული მოგდის ყველა ქვეყანათა მემატიანეებზე, ბიბლიის მოსედან... ისკანდერ მუნჯამდი, რომ მათ ვერ ნახეს სასტიკი სიტყვები—ჯადო-სიტყვები, რომ ქვეყნისთვის ესმინათ, ქვეყნისთვის გაეგებინებიათ საქმენი-სასწაულნი, საქმენი საგმირონი, ხალხზე უფლისგან რჩეულზე, ერზე გმირობის მცველზე და შემნახველზე.

ქართველმა გაიგო, რომ იგი რჩეული აქტიორია ზენაარის და ომი გაიხადა ღვთისმსახურებად და ხმლიანი არმაზის ქურუმი განაგრძობდა ქურუმობას ქრისტიანეთა სხვისთვის თვინიერ ჩვენთვის მრისხანე ღმერთისას...

ომისთვის არც ერთ ხალხს ისეთი გრძელი და საგმირო პოემა არ დაუწერია, როგორც ქართველს და ამ პოემის ეპილოგი ჯერ კიდევ დაუწერელია, ჯერ კიდევ ელის ქვეყანა ახალ სასწაულებს...

განა გასაკვირი არ არის ასეთი გამოხმაურება, შენახვა რაინდობის კულტის? ბუსბეკი ამტკიცებს, რომ ქართველები, რომელთაც დაივიწყეს იაზონი და მედეა მეთექვსმეტე საუკუნეში უმღეროდენ კარლოს დიდის რაინდს როლანდს, თავიანთ სამ სიმით გადაწნულ ფიცრიდან გაკეთებულ ფანდურზე.

არ შეიძლებოდა, რომ ამნაირი განწყობილება ერის მწერლობას არ დაჩნეოდა... აბა წაიკითხეთ „ქართლის ცხოვრება", ბერი მემატიანე სარდალივით ლაპარაკობს, სენაკშიაც შედის სისხლის ალმური:

„მელნად ვიხმარე გიშრის ტბა

და კალმად მინა რხეული"

მღერის რუსთაველი... მაგრამ განა არ შეიძლებოდა, რომ იმას კალმად ეხმარა ხმალი, ეს რასაკვირველია, სულ არ დაუშლიდა მისი პოემის სინაზეს, რადგან ქართველი სასწაულით აბავდა ერთმანეთს სინაზეს და სიფიცხე-ფოლადობას. „ვეფხის ტყაოსანი" ყველაზე დიდი ფსალმუნია უკვდავ გლადიატორზე და შემდეგ ყველა ჩვენი დიდი პოეტები: დ. გურამიშვილი, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, აკაკი, ილია, ვაჟა, სანდრო შანშიაშვილი ომზე მღერიან, როგორც ქართველები.

უკანასკნელ საუკუნის მიწურულში, როცა ომი განიცდიდა გადაფასებას და მწერლობაში იპარებოდა პაციფისტური მოტივები, ქართული მწერლობა ბევრში უკან მიმყოლი ევროპის მოწინავე იდეების, პაციფიზმზე ყრუ იყო თავის უმრავლესობით და ერთხელაც არ უღალატია ძველი ტრადიციებისთვის. ყველაზე გუმანისტი ამ პოეტებიდან, აკაკი წერეთელი, მოხუცობაშიც ნატრობდა თეთრი ქალარის მტრის სისხლით შეღებვას. ამნაირმა განწყობილებამ სულისამ ამოქსოვა აკაკის შედევრი „არაბი ფაშა", რომელიც ჩვენში ჯერ არ დაუფასებიათ... ვაჟა-ფშაველა მე წარმომიდგება თავის თეთრი თვალებით, რომელშიც არის რაღაც ბედითი კრთომა ტყის ალისა, ხანჯალის მლესავი, საომრად შემზადებული.

მე მგონია ეს ერთი ნაციონალური თვისებაა ჩვენი ერის. ამისთვის ჯერ არავის მიუქცევია განსაკუთრებული ყურადღება. ამ საგანს ჩვენ ვუძღვნით მთელ მონოგრაფიას, მხოლოდ ამ წერილში გვინდა შევეხოთ, თუ როგორ გამოეხმაურა ქართული მწერლობა უკანასკნელ ევროპის ომს, რომლის მოწმე ჩვენ ვართ და რომლის ცეცხლიც თანდათან დიდდება.

ბ

ფრანგ მწერალს სენ-ვიქტორს თავის წიგნში, „ღმერთები და ადამიანები", აქვს აწერილი რომის კულტურის მწუხრი, როცა იმპერატორების რომი დაიხსნა, გაიხრწნა და მასსიურ თვითმკვლელობის სული დაფართხალებდა თავს. როცა ამ სტრიქონებს შეადარებთ ანალოგიურ ადგილს შტირნერის „ერთად ერთსა და მისი საკუთრება"-ში, მაშინ იგრძნობთ ფრანგის დამწვარ სტილის ალს, გრძნობთ, რომ სენ-ვიქტორში ლაპარაკობს დეკადანსის საფრანგეთი „და ვით სნეული თანაუგრძნობს თავისვე მსგავს სნეულს". აქ რამდენიმე ხაზის მოსმით, რამდენიმე ეპიზოდით, თქვენ წარმოგიდგებათ ბებერი რომი, ავხორცობა რომ შეაქვს სიკვდილში და თავისვე თავს უგალობს გამოსათხოვარ ლოცვას... აქ შეიძლება დაკვირვება, თუ როგორ ლაპარაკობს ერის სული ხელოვნებაში...

მწერლობაში ყველაზე აშკარად სჩანს ერის ცხოვრების ცვალებადობა, ყოველი გადასავალი და ნაჩრდილი ერის ცხოვრების მწერლობაზე სტოვებს კვალსა ამ შემთხვევაში შეიძლება იმ დედოფლის ტბას მიემგვანოს, რომელშიაც ჩნდებოდა უკვე გასათეთრებლად გამზადებული ყოველი ღერი თმისა. და ვისაც უნდა დაამტკიცოს საქართველოს სიცოცხლის ნება, უნდა ეძიოს მწერლობაში... აქ შეიძლება დანახვა, რომ ვაჟა-ფშაველაზე ახალგაზდა და სიცოცხლით სავსე არა თუ არის, არამედ ყოფილიყოს კიდევ მწერალი. მეთორმეტე საუკუნის საქართველოს, თამარ მეფის იმპერიალისტურ ეპოქის მომღერალი რუსთაველის მწველი, იმედიანი სიმღერა ჩვენში ჯერ არ ჩაფერფლილა და ჩვენი დღეების საქართველოს მესაიდუმლე ვაჟა-ფშაველა „მონად აღზრდილი მოლექსე", ისეთივე ცეცხლით იმღერის „თავის ლამაზ დედაზე". და განა მარტო ვაჟა? გრ. ორბელიანი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე—ეს ჩვენი ერის მწუხრის კი არა, შუადღის მომღერლები არიან. მათი სიმღერა ჭაბუკია და მათში მღერის „ორბივით დამწვარი" და ფერფლით ამდგარი საქართველო.

ერთ თავის წერილში კიტა აბაშიძე შენიშნავს, რომ ქართველი მწერლები გაურბიან სიკვდილის პრობლემას და არ ჩერდებიან მაზე. როგორც მახსოვს, ეს შენიშვნა პატივცემული კრიტიკოსის, მხოლოდ კითხვის დასმით გათავდა და მიზეზები არ გამოურკვევია.

მე მგონია ეს ფაქტი ფრიად მომასწავებელია და ამჟღავნებს ჩვენ მწერლობის ნაციონალ ბუნებას; ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველო თავის კუბოშიც ცოცხლად რომ ჩაიჭედოს, სიკვდილზე არ ფიქრობს, რომ ერის სული კიდევ ყვავილობს და არ ჰქნება, რომ სიკვდილის წინეთ თავის თავი გამოიტიროს.

თანამედროვე ომის ერთი დიდი მნიშვნელობა, სხვათა შორის, იმაშიაც არის, რომ ყოველ ერს ჩაახედებს თავის სულის სიღრმეში. ნათელზე გამოიყვანს იმ ფიქრს, რომელიც დიდი ხანია მტვერ მიყრილი და ცოცხალ-მკვდრები იყვენ. ძველი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი განყოფილებანი ტყდებიან. ამნაირი კატაკლიზმი ისტორიის საუკუნოებით იხსნება და რამდენადაც დიდხანს გასტანს, იმდენად გრძელი იქნება ანტრაქტი და ვაი იმას ვისი მახვილიც არ იქნება მჭრელი, ვისაც სულმოკლეობა დაეტყობა, იმის ბედზე ცუდად უფიქრია შემოქმედს. და ვის არ დააფიქრებს ეს ომი მომავალზე?..

ამ ომში საქართველოც არი ჩარეული.. და დამტკიცდა რომ წინაპართა ანდერძი კიდევ ცოცხლობს ქართველებში. და აღმოსავლეთ პრუსიაში დაწყობილი ძვლები კიდევ ანიშნებს ქვეყანას, რომ რაინდული, უანგარიშო გატაცება ქართველი ერის—წარღვნის ცისარტყელაა, და მეჩშჩანურ ჭაობს ჯერ კიდევ არ დაუძირავს კაცობრიობა.

როგორ გამოეხმაურა ამ ომს მწერლობა.

მართალია ჯერ ჩვენ კიდევ ომთან ახლოს ვართ, ჯერ კიდევ არ დაწმენდილა, არ დალაგებულა გრძნობა რომ გახდეს ხელოვნების ობიექტი, მაგრამ განა ეს აუცილებელია?

განა არ ყოფილა მაგალითები, რომ მოვლენათა ტალღების ტორტმანი შექმნილიყვენ ხელოვნური ნაწარმოებნი დიდი საფასურისა?

ამაზე იტყვის „მარსელიეზა" ამაზე იტყვიან რომის საუკეთესო პოეტები იმპერატორების სამხედრო კარავებში რომ სწერდენ ღვთაებრივ ოდებს...

რუსეთის მწერლობაში ამ ომმა ვერაფერი აღფრთოვანება ვერ გამოიწვია, ის კი არა მათი უბადრუკობა უკვე სამაგალითოდ შეიქნა. თითქო ერთ დღეს ყველანი დაასაჭურისეს... თუ არ მივიღებთ მხედველობაში რამდენიმე ლექსს მაქსიმილიან ვალოშინისას და ჯერ დაუბეჭდავ რამდენიმე ლექსს კ. ბალმონტისას ირგვლივ გაუვლელი უნიჭობის და სიღარიბის ტალახია... ახალგაზრდა რითმების მწვნელ რეკრუტებს, როგორც ვ. ხოსადევიჩი, მარია მორავსკაია და იგორ სევერიანინი თავში უდგას ფელდვეფელური სიდინჯით ვალერი ბრიუსოვი, რომელმაც „ცუსიმაზეც" ნახა სიტყვები, ეხლა კი ხმა ჩაუწვდა.

ქართულ მწერლობაშიც გაიპარენ ლექსები ომზე, ბელგიაზე, საქართველოზე. დიდი უმრავლესობა იმათგანი, ეხლა ალბად მარტო ავტორებს თუ ახსოვთ და ან ზოგიერთ რედაქტორებს, რომელნიც ამდიდრებენ ჩვენ მწერლობას ახალ ნიჭთა აღმოჩენით... ზოგი იმ ლექსების ძველ პოეტებსაც ეკუთნოდათ. უმრავლესობა ჩვენი მწერლების ნაწარმოებთა იმ ფიქრზე გაყენებთ, თითქო ავ ჰინკას მათი სააზროვნო მექანიზმი გადაუყენებია და ერთ ადგილზე გაუჩერებია. მიდიან ლექსები უკვე მოწონებული პოეტების, არც ერთი ახალი გრძნობა, ახალი განცდა, ფიქრი, ლექსის წყობა არ შეეპარებათ.

წინდაწინ გრძნობ ვის შეუძლია ახალი სიტყვების მონახვა, ვის გაენძრევა ახალი ფიქრი თავში.

ახალგაზრდა მწერლებიდან ჩვენ მოველოდით რომ სანდრო შანშიაშვილი, გ. ტაბიძე, შალვა ამირეჯიბი, ს. აბაშელი მონახავდენ ამ სიტყვებს. ეს იმიტომ, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ღვივის სანდრო შანშიაშვილის შექმნილი სახეები, ის განიცდის საქართველოს და შეუძლია მის ფიქრზე სიმღერა. ჩვენ კიდევ გვახსოვს შალვა ამირეჯიბის გამოტირება ბაგრატიონების. ჯერ მე არ მინახავს მათი ლექსები, იქნებ ჯერ კიდევ ადრეა, იქნებ ჯერ კიდევ არ ამოქსელილა მათ სულში ძაფები.

მხოლოდ ჩვენი მწერლობის ვალი გამოიყიდეს ვაჟა-ფშაველამ და კ. მაყაშვილმა. ვაჟა-ფშაველას შეეძლო ეთქვა ერთ რუს პოეტივით: „რეჟისორის შეცდომით ხუთი საუკუნე დავიგვიანეო", ვაჟას საქართველო, ის საქართველოა, „როცა თავის თავს ეყდონოდა" მხოლოდ რამდენიმე ლირიკული ლექსი არღვევს

...გადაეცა ხსენებულ ჟურნალის რე-...ას.

**მცხეთის ტაძრის დათვალიერება.** ...ბათს, 22 ღვინობისთვეს, მეფის ნა-... მისი იმპერატორობითი უმაღლე-...დიდი მთავარი მეუღლითურთ, მე-...ცვლის უავგუსტოესი ძმა მეუღ-...რთ და დიდი მთავრები, რომან ...ს-ძე, ელენე გიორგის ასული ჰერ-...ა ლეინტენბერგისა ავტომობილით ...ანდნენ მცხეთის ტაძრის დასათვა-...ებლად.

**გადამდებ სენთან ბრძოლა.** მე-...ნაცვალმა 683,700 მან გადასცა ...იის ქალაქთა კავშირის განყოფი-... გადამდებ სნეულებასთან საბრ-...ელად. ეს ფული გაღებულია ში-... სამინისტროს მიერ. ამ დღეებში ... ექნება ქალაქთა კავშირს ხსენე-... ფულის გასანაწილებლად.

**შაბიამანი და გოგირდი.** თბილი-...უბერნიის მევენახეობა-მეღვინეობის ...ტეტმა შეუკვეთა ფრიდონოვის სა-... სახლს გუბერნიის მევენახეთა სა-...ებისათვის 50,000 ფუთი შაბიამანი ...00.000 ფუთი გოგირდი. რუსეთის ...რობის დახმარებით შაბიამანი იყიდა ...რაგენტმა ინგლისში, ხოლო გო-...ი საფრანგეთში. ერთი პარტია შაბ-...ნისა, 30 ათას ფუთამდე, უკვე მო-... არხანგელსკში და დანარჩენ 20 ... ფუთსაც ელიან. აგრეთვე, როგორც ...ი მოვიდა, გოგირდის პირველი პარ-...იტვირთება ბორდოში და იმედოვ-...ენ, რომ მისი მოტანა არხანგელსკში ...აგვიანდებაო. მევენახეობა-მეღვინე-... კომიტეტი ამ საქონელს გაანაწი-... იმ ორგანიზაციათა (სოფლის კო-...ატივები) შორის, რომელთაც თა-...ი სურვილი განუცხადეს კომიტეტს. ...მსახურისათვის, რომელიც მთავრო-...ლმოუჩინა ფრიდონოვის სავაჭრო ...ს საქონლის შეძენა-გადმოტანაში, ... შაბიამანზე და გოგირდზე დააწე-... მიწადმოქმედების დეპარტამენტი. ...ენე კაცების აზრით, ერთი ფუთი ...ამანის ფასი თბილისში არ უნდა ...ატოს 9 მან. 30 კაპ. ხოლო გოგირ-... 5 მან. 30 კაპ.

**„ახალ კლუბის“ წევრთა საყუ-...ღებოდ.** დღეს „ახალ კლუბის“ წევრ-... საზოგადო კრებაზე გადასაწყვეტია ...ოდ საყურადღებო საკითხი. მომხმა-...ელ საზოგადოების გამგეობა—„მეურ-...“ წინადადება შემოიტანა „ახალ კლუ-...“ საბჭოში, რომ კლუბი თავის შემა-...ლობით ჩაეწეროს წევრად მომხ. ... „მეურნეში“ იმედია, დღევანდელი ...გადო კრება გამოიჩენს შესაფერს ...ებას, ამ საკითხს გულისყურით მო-...ვა და „მეურნის“ საზოგადოებას ...ს შეუწყობს.

**საბჭოს კრება.** ხვალ, 26 ოქტომ-...ს, ქალაქის საბჭოს კრება უნდა შეს-...დგეს. სხვა საკითხთა შორის განხილულ იქნება ქალაქის გამგეობის მოხსენება სარჩო-სანოვაგის ყიდვა-მოტანის მოწეს-რიგების შესახებ; საგანგებო კომისიის დადგენილება მეეტლეთათვის ნიხრის გადიდებისა და შრომის ბირჟის შესახებ საკითხი.

**შეწირულება.** საქველმოქმედო საზოგადოებას შესწირა ი. ი. ჩიტოშვილ-მა მის მიერ გამოცემული ბ-ნ ქუჩიშვი-ლის თხზულებათა 100 ცალი წიგნი.

**ფქვილი გამოქცეულთათვის.** სა-მეფისნაცვლოს კანცელარიის თხოვნით ქალაქის გამგეობამ 10 ვაგონი ფქვილი გაამგზავრა ყარსში, ერევანში, განჯაში და იმ ადგილებში, საცა გამოქცეულთ მოუყრიათ თავი.

**ა. ი. ხატისოვი და გ. დ. ჟურუ-ლი** ბაქოიდან უკვე დაბრუნდნენ თბი-ლისს და სამსახურის ასრულებას შეუ-დგნენ.

**ხმოსანთა არჩევნების გარშემო.** ბ-ნმა გუბერნატორმა არ დაამტკიცა ქალაქის საბჭოს დადგენილება, 28 სექ-ტემბერს მომხდარი, შესახებ ქალაქის დაყოფისა 7 საარჩევნო უბნად.

**ნამალევი კვერცხი.** ქალაქის გამ-გეობის აგენტებმა აღმოაჩინეს 1,500 და-მალული კვერცხი და არსებულ ნიხრის კვალობაზ ეგაჰყიდეს ნაწილ-ნაწილი.

**ფქვილი.** 22 და 23 ოქტომბერს თბილისში შემოიტანეს რკინის გზით 65 ვაგონი ფქვილი, რომელთაგან 30 ვაგონი ქალაქის თვითმართველობას ეკუთვნის.

**პური და რძე.** ქალაქის გამგეობა-ში შეკითხვა შეიტანა ხმოსანმა კეილმა, ვერაზე უპურობის და რძის უშოვნელო-ბის გამო.

**სურსათი.** 24 ოქტომბერს თბი-ლისში მოზიდული იყო: ფქვილი 5 ვა-გონი, სიმინდი 1 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., შაშა 1 ვაგ., ყველი 1 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ნავთი 9 ვაგ., ღვინო 1 ვაგ., გამხმარი ბოსტნეული 5 ვაგ., ბრინჯი 242 ფუთი.

**ხოლერა.** 23 ოქტომბერს ქალაქის სამკურნალოში მიიყვანეს ხოლერის ნიშ-ნებით 2, გარდაიცვალა 1 და გუშინ, 24 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფება-და 47 კაცი.

**გადამდები სენი.** 24 ოქტომბერს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნ-თრუშიანი 104, სახადიანი 51, საოფ-ლიანი 40, ხუნაგიანი 28, ყვავილიანი 3 და მუცელაიანი 5 კაცი.

## პროვინციის ქრონიკა

**ქუთაისი.**

19 ღვინობისთვეს გასტეხეს ქართულ სათავად-აზნაურო გიმნაზიის ფანჯარა საიდანაც წაიღეს: ბეჭედი, მაკრატე-ლი, პირსახოცი, რამდენიმე სადიპლომო და სხვა და სხვა ოფიციალი ბლანკი.

— 20 ღვინობისთვეს ადგილობრივმა ბოქაულმა დაიარა სავაჭრო-სახელოსნოე-ბი და აწერა ყველა ნოქარ-მოსამსახუ-რის გვარი და სახელი.

— 17 ამთვეს საურთიერთო ბანკის შენობაში ქუთაისელ ვაჭართა ყრილო-ბაზე გადასწყვიტეს, რამე იღონონ და პროვინციაში მოაწყონ გაზეთ „სამშობ-ლო“-ს გავრცელების საქმე.

— გამოვიდა „სასოფლო გაზეთის“ მე-16 ნომერი.

ჟურნალში მოთავსებულია 1) კ. ბერე-კაშვილის წერილი: ჩვენებურ მევენახეთა საყურადღებოდ. 2) ე. ინგოროყვასი სი-სხლიანი მხალი. 3) ბერუჩოვის, მეურ-ნეობა და სოფლის მასწავლებლები. 4) მინერალი და ქიმია ნ. ჯანაშიასი და სხვა და სხვა ცნობანი მეურნეობის შე-სახებ.

**გ ო რ ი.**

სამშაბათს ოც ღვინობისთვეს ვერ მო-ხერხდა განზრახულ წარმოდგენის მოწ-ყობა, ჰსურდათ წარმოედგინათ ნ. შიუ-კაშვილის „მეგობრობა“.

— ქალაქის თავის და მისი თანაშემ-წის არჩევნები რამდენიმე ხნით გადა-იდო.

— ხურდა ფულის უქონლობა გორის ცხოვრებაშიც დიდ უკმაყოფილებას და უხერხულობას იწვევს, ვაჭრები ქაღალ-დის ფულს კარგა ხანია არ ახურდავებენ.

— ქალაქში რძე აღარ იშოვება, შე-მოტანილი რძე სულ ლაზარეთ-საავად-სყოფოებისთვის უნდებათ.

**გ უ რ ი ა.**

ბათომის მხარეს გურიის ყველა კუ-თხიდან აყარებელი ხალხი აწყდება სამუშაოს საშოვნელად, მაგრამ სამუშაო არ მიპოვება.

**სოფ. ცხრაწყარო.**

მოსავალი უნუგეშო იყო, ღვინო სულ არ მოგვსლია. შიმშილობა კარს გვად-გას, ხალხი ხსნა-შველას არსიდან ელის. სოფელში ათასგვარი ავადმყოფობა და სენი სუფევს. საკვირველია ასე უბედუ-რებაში მყოფ ხალხს კიდევ მოსვენებას არ აძლევენ ზოგიერთნი პირნი, და ათასნაირ ჭორის გავრცელებით ბეჩავ ხალხს ხან რას აუწყებენ და ხან რას. ამას წინად ხმა გაავრცელა ერთმა პირ-მა: მცხოვრებთ ხარი და ურმები უნდა დაამზადონ მთავრობისთვისო. ეს ხმა ტყუილი გამოდგა და მცხოვრებნიც უბ-რალოდ შეაწუხეს. საჭიროა ასეთი პირე-ბი, თუ განსაცდელში მყოფ ხალხს დახ-მარებას არ გაუწევენ, ხელს მაინც ნუ-ღარ შეუშლიან და ცხელზე მდუღარეს ნუ დაასხავენ.

**სოფ. ვაყი (ქართლი).**

18 ამა ღვინობისთვეს აქ მოხდა მე-ტად სასიამოვნო—ხალხისთვის სასარ-გებლო ყრილობა. ამ დღეს აქ დაარსდა სასოფლო სამეურნეო-საზოგადოება, ხალ-ხი ახალ დაწესებულებას დიდის იმედით და სიხარულით შეხვდა.

**სოფ. მეტეხი.**

დიდი განსაცდელი ადგას ამ სოფელს უცნაურ ამინდებისა გამო, კალოები ჯერაც არ გაულეწიათ მცირედი მოსა-ვალი ლპება მინდვრებზე. შიმშილობა ხალხს თავზარს სცემს.

— აქ უკვე მოვიდა მოწერილობა სა-სოფლო არჩევნების მოსაწყობად.

**სათესლე და საკვები მასალა საქარ-თველოსთვის.**

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზო-გადოებას სხვა და სხვა კონტრაგენტი-საგან წინადადება მოსდის, თხოულობენ, რათა მათ მიენდოთ საქართველოში სა-თესლე და და საკვებ მასალის შემოტა-ნა. სხვათა შორის გომის მემამულეთა სინდიკატმა სთხოვა საზოგადოებას, უშოვოს ოცდაათი ვაგონი ჩრდილო კავ-კასიიდან ფქვილის და ხორბლის შემო-სატანად. სინდიკატი ირწმუნება, შემო-ტანილს ხორბალსა და ფქვილს ქართლ-ში იმ ფასებში გავყიდი, რაფასშიც გო-რის საკრედიტო ამხანაგობა ჰყიდისო, ხოლო ბაზრებში ცოტათი ავწევ ფასსო.

**მეღვინეობის საქმე.**

საბირჟო ვაჭრობის და სასოფლო მე-ურნეობის საბჭომ წარუდგინა ვაჭრობი-სა და მრეწველობის მინისტრს მოხსენე-ბა მეღვინეობის მოწესრიგების შესახებ და აგრეთვე ამ დარგის სამეურნეო მრე-წველობაში მდგომარეობის გამოსარკვე-ვად.

## სოფლის ჭირ-ვარამი

წერილი პირველი

**პატარა წინასიტყვაობა**

ინტელიგენტი მამულის შვილი ჩემს გონებაში ამ გვარადაა წარმოდგენილი: გონება განვითარებული ცოდნი-თა და გამოცდილებით შეიარაღებული, პატიოსანი და მაღალი სურვილებითა და მისწრაფებით აღჭურვილი, სიცოც-ხლით სავსე, ახალგაზრდა შვილი სწავ-ლის დამთავრების შემდეგ უბრუნდება თავის სამშობლოს და სძებნის სამსა-ხურს, პოულობს ისეთს საქმეს, რომე-ლიც ერთის მხრივ მას ასაზრდოებს და მეორეს მხრივ სულიერ კმაყოფილებას აძლევს. ე. ი. ისეთს საქმეს, რომელიც უყვარს და იმავე დროს საზოგადოებრივ სამსახურის საქმესაც შეადგენს.

უმთავრესი სურვილი მისი ისაა, რომ თამამად შეება სამშობლოს პროგრესის უღელში და ერთი ათად, ერთი ასად დაუბრუნოს უკან, რაც მისცა მას სამ-შობლომ, მშობელმა ბუნებამ, მშობელმა ერმა.

გონება განვითარებული, ის გონება დახშულს მოძმეს ანავითარებს, კულტუ-როსანი—უკულტურო მოძმეს კულტუ-როსნად აქცევს, მდიდარი—ღარიბს სი-ცოცხლის სალხარს აძლევს, ძლიერი—ჩა-გრულს მფარველობას. ახალგაზრდა ინტე-ლიგენტი ილია ჭავჭავაძეს სწორედ ამ გვარადა ჰყავს დახასიათებული.

დედამ რომ შვილი გაზარდოს,
ემანვრე ჩვენისთანაო!
ძმურად გამო'ადეგნი ვართ
ყველგან და ყველასთანაო!
ჭირში მოჭირნეს ვუშველოთ,
ლხინში მოლხინეს მოვულხენთ,
საქმის, შრომის, ბრძოლის დროსა
მტერსაც არ დაუვარდებით!...

ეს შვილი, რასაკვირელია, თავის საქ-მეს, თავის ერს უნდა ემსახუროს შეძლები-სდაგვარად. უნდა გაავრცელოს ხალხში ის ცოდნა, რა ცოდნაც მიიღო. უნდა ჩადგეს იმ დარგში, რა დარგისთვისაც მძლავრი იარაღითაა შეიარაღებული, რაც მის სუ-ლისა და გონების სასურვილსა და სა-ყვარელს საგანს შეადგენს.

ვექილმა უნდა ივექილოს, ექიმმა იე-ქიმოს, მასწავლებელმა იმასწავლებლოს, ტეხნიკოსმა იტეხნიკოსოს, ვაჭარმა ივა-ჭროს და სხვა. ყველა უნდა ემსახუ-როს თავის სპეციალ საგანს, თავის თავს და თავის ერის კულტურულ წინსვლას.

ის ახალგაზრდა, რომელიც თავის სამ-შობლო კერას არ უბრუნდება და სხვა ქვეყნის, სხვა ერის სამსახურს ეწევა, ერთგვარ ქურდსა ჰგავს, რომელმაც წაჰ-გლიჯა თავის ერს ნაწილი მისი, მოპარა მშობლებს ცდა, სიყვარული ფული და გადაიხვეწნება უცხო ქვეყანაში, როგორც გარდაიხვეწა ხოლმე პოლიციის ხელიდან დამძვრალი „არტელჩიკი“ გატა-ცებული ფულით.

ის ახალგაზრდა, რომელიც თავის ძა-ლას ვერ გაზომავს, ჭკუას ძალას დაა-ტანს და იმისთანა საქმეს მიეჭიდება, რომლისთვისაც არც ღონე შესწევს და არც გონება—დეგენერატია, შეცდომით გაინტელიგენტებული ბრიყვი. ბეცი და ყრუ ადამიანი. რომელიც ჰხედავს, მაგ-რამ კარგად ვერ ხედავს, ესმის მაგრამ კარგად ვერ ესმის.

ამ ორი ტიპის წარმომადგენელნი ჩვე-ნი ერის საუბედუროდ და სავალალოდ ბევრი გვყავს, და მათზე ბევრი რამაც ითქმის, მაგრამ ამ წერილებში მათ მე ვრცლად არ შევეხები. მე თვალწინა მყავს მხოლოდ ის ახალგაზრდანი, რო-მელთაც თავის ერისადმი გული სიყვა-რულით აქვთ გაჟღენთილი და რომელთა რიცხვი ჩვენში დღითი-დღე იზრდება, მინდა მათ აუწერო ჩვენი სოფლის გა-ჭირვება, მისი ავი და კარგი და გულის ტკივილით აღვნიშნო, რომ დღემდის ჩვენში ინტელიგენციას სოფლის საკე-თილდღეოდ თითიც არ გაუნძრევია და იმ დროს როდესაც ჩვენს გლეხს სიმში-ლით კუჭი ეწოდა, იმ დროს როდესაც ჩვენი გლეხი უვიცობასა და სიბნელეში იხრჩობოდა, იმ დროს როდესაც ჩვენი გლეხი გათანგული იყო მემამულისა, ჩარ-ჩებისა, და მრავალ სხვა და სხვა გვარ მძარცველ-მგლეჯე-ლის კლანჭებში, იმ დროს ჩვენი ინტე-ლიგენცია ერთმანეთს თავ-პირს ამტვ-რევდა სხვა და სხვა პროგრამების დამ-ხობა-გამარჯვებაზე, სხვა და სხვა ქვეყ-ნების პარლამენტების მემარჯვენე-მემარ-ცხენეობაზე, სანდვიჩევის კუნძულებზე მოსახლე გლეხების კეთილდღეობაზე, გერმანეთისა და საფრანგეთის სოციალ-რევოლიუციებზე, მილიუკოვისა და რო-დიჩევის მსოფლ-მხედველობაზე, ბალმონ-ტის პოეზიაზე და სხვა, და სხვა და სხვა.

საბრალო ჩვენი სოფელი!

უზომო ტკივილებს იგრძნობს კაცი, როდესაც გაჰხედავ ტყეებით დაბურულ მთებს, დამუშავებულ ველებს. ეს ხომ საქართველოა! საქართველო, რომელმაც დღემდის უვნებლად და შეუცვლელად მოიტანა მიწა-წყალი, ენა, სარწმუნოე-ბა, ზნე-ჩვეულება, ყველა, რაც კი შეად-გენს ერის სიცოცხლეს, მისს არსებობას! გაჰყურებ თვალ-გაუწვდენელს სივრცეს და ჰფიქრობ: ეს არ არის მიწა წყალი სტუდენტებისა, აფიცრებისა, ეს არის მოქალაქე, უსაქმური საქართველო! ეს არის საქართაელო მხვნელისა და მთესა-ვისა! მუშა, უძლეველი საქართველოსი!

ჩვენ ვწეწავთ, ვგლეჯავთ ამ საქარ-თველოს, ვკბენთ ვით დედის ძუძუს უგუნური ბავშვი, ვჯიჯგნით მის მშვე-ნიერ სხეულს, ვუგინებთ დიდებულ წარ-სულს, ვუზღუდავთ სამზღვრებს, ვყიდით მტერზე, წაგვილია ხელი ყელში ვხუ-თავთ, ვარჩობთ, მაგრამ ვერ დაგვირ-ჩვია, ოდნავადაც ვერ შეგვისუსტებია მისი უჩინარი ძალა! ეს ძალა ხომ ბუნებაა, ეს ძალა ხომ მუშა ხალხია აი, ის გლეხი—დაგლეჯილი ტანისამო-სით, რომელსაც ხელი გუთნისთვის მოუ-კიდნია და მხიარულად დამღერის! იცის რომ ნამუშავრიდან მხოლოდ მესედი დარჩება, მაგრამ მაინც დამღერის, ბედ-ნიერი ღიმილით იწმენდავს სახეზე წუნ-წკურით მიმდინარე ოფლს! რადა? უზო-მოდ უყვარს მიწა, მზე და მუშაობა!

აი ამ გლეხზე, ჩვენი მიწა-წყლის ერთ-გულ დარაჯზე, ჩვენი ეროვნების საძირ-კველს დედა ბოძზე მექნება ლაპარაკი ჩემს წერილებში.

სვ. უ—ნი.

## ფრანგული პრესა

**„ფიგარო“.**

**გერმანეთის ოცნებანი.**

რა კი ღა გერმანელებმა ნახევრად მა-ინც განახორციელეს თავიანთი განზრა-ხვანი, რაზეც რისკს სწევდნენ მთელს თავის ღირსებობით, ეხლა იმის ცდაშია, რომ მოკავშირენი გაჰყოს და სა-თითაოდ დაამარცხონ. კაიზერის ქვე-შევრდომნი ამაყად ჰქუხან და მოელიან, რომ ახლო მომავალში მთელი ქვეყნიე-რება გარდაიქნება, ჩამოვარდება საშვი-ლიშვილო ზავი და მთელი ევროპის სა-ხელმწიფონი მის ახალშენად გამოცხად-დებიან. რომ ამ განზრახვას სერიოზული სახე მისცენ, გერმანელები ცალ-ცალკე თაიგულებს უგზავნიან პარიზს, პეტრო-გრადს, ლონდონს, ვითომც ომის დასა-სრული ახლოვდება და აბა მზად ვიყოთ: „ბერლინში რა მოხდება. რაც იქნება ისევ პარიზში, აქ დაიდება ხელშეკრუ-ლობა და ზავის პირობები“... ეს პარი-ზისთვის. „ინგლისის და რუსეთის ინტე-რესები არასოდეს არ შეთანხმდება. ამ ორი ერის შეჯახება აუცილებელია მოკ-ლე ხანში“. ამას ამბობენ პეტროგრადის საყურადღებოდ... მაგრამ მისი თავხედო-ბა ისე შორს მიდის, რომ ახლა ეგვიპ-ტისკენ მიაპყრო თვალი. ჭექა-ქუხილით ემუქრება ინგლისს თავზე დაატყდეს. ამ განწირულმა სახელმწიფომ ოცნება გაი-ხადა იდეალად, შორიდან ელოლიავება იმ აზრს, რომ მოკავშირეთა შორის რო-გორმე სეპარატიული ზავი ჩამოაგდოს, რაიც მართლა მას გამარჯვებას მიანი-ჭებს სრულს და უეჭვოს. მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ ეს ასე არ მოხ-დება: გერმანეთი ზედმეტს ოცნებობს...

## რასა სწერენ?

**„სახ. გაზ.“**

**გ. ქიქოძის წერილიდან**

რა რიგ იცვლება ხალხის ზნეობრივი შე-მეცნება ენერგიის ევოლიუციასთან ერთად! მეცხრამეტე საუკუნეში ჩვენში არაჩვეულე-ბრივად გაძლიერდნენ ჰუმანიტარული და ინტერნაციონალური იდეები. პოლიტიკუ-რად დასუსტებულნი და ილაჯმიხდილნი ვიყავით და აღარ შეგვეძლო საკუთარ ფეხ-ზე დგომა. ამიტომ ხელი ჩავსჭიდეთ სამარ-თლიანი კაცობრიობის იდეას და ისე და-ვეყრდენით, როგორც დავრდომილი ყავარ-ჯენს. გვეგონა, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს სამართლიანი კაცობრიობა მოვიდოდა და მალამოს დაადებდა ჩვენს ძველს ჭრი-ლობებს. ჩვენი მხრითაც ვსცდილობდით რაც შეიძლება მეტი მოკრძალება, სიყვა-რული და სტუმართმოყვარეობა გამოგვე-ჩინა მეზობლების წინაშე. მაგრამ ყოველ-თვის ასეთი თავაზიანი როდი ვყოფილ-ვართ. იყო დრო, როცა ქედმაღალნი ვი-ყავით მსოფლიო ბატონებივით. მაშინ გუ-ლიც უფრო ცივი და სასტიკი გვქონდა. მწერლების და მქადაგებლების პირით ვამ-ტკიცებდით, რომ ღმერთს განსაკუთრებით უყვარს ჩვენი ტომი თუ ნათესავი, მშვი-დობის მოყვარულ ტომებს კი ხშირად შე-ვსჩივლებდით: „არა არს ღონე დარჩომისა ჩვენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბე-ვისო“.

ეჭვი არ არის, კაცობრიობის ზნე-ჩვეუ-ლებანი ნელ-ნელა უფრო რბილი და ფაქი ზი ხდება. მაგრამ არსებობისათვის ბრძო-ლას ამით სიმძაფრე როდი აკლდება: სა-შინელი სისწრაფით ვითარდება სიცოცხ-ლის გამანადგურებელი საშუალებებიც. ერთ დროს მშვილდისარით იბრძოდნენ. დღეს მთელს რაზმებს მღრჩოლავი გაზით აღრჩობენ ან ჯავშნიანი ავტომობილებით სცელავენ. მიცვალებულისთვის კი საბო-ლოოდ სულ ერთია, რა რწმენის ადამიანმა გაისტუმრა ის ელისეს მინდვრებისკენ, კა-ნიბალმა თუ ინტერნაციონალისტმა.

ცხოვრება ცეცხლის სარბიელთა სუსტს ანადგურებს, რათა ძლიერსა და ცხოველ-მყოფელს ადგილი გაუნთავისუფლოს. დი-დი აზრი არა აქვს ამის წინააღმდეგ აღ-შფოთებას: ისევე როგორც მაგალითად ზვავის ან ნამქერის ზნეობრივად უარყო-ფას. შეიძლება პიროვნების ან საზოგადო-ების გასამართლება, მაგრამ მთელი ცხოვ-რება ჩვენი ზნეობრივი დაფასების გარეშე სდგას, როგორც ბუნებრივი სტიქიონი.

**„თან. აზრი“.**

**ქართველ გამოქცეულთა ბედზე.**

ოსმალეთთან ომის გამოცხადების შემ-დეგ მთელი შავი ზღვის ნაპირის ადგილე-ბი დაიცალა, ყველგან ცხოვრება ჩაკვდა და მრავალი ხალხი ქუთაისის გუბერნიის სხვა ადგილებში გაიხიზნა. ამ გახიზნულთა შორის დიდი უმეტესობა, რასაკვირველია მუშები და საზოგადოთ ხელ მოკლე ხალ-ხი იყო. მათი მდგომარეობა პირველი დღი-დანვე აუტანელი შეიქნა. ერთად ერთი სამრეწველო რაიონი ჭიათურა, რომელიც მუშის სამუშაოს აძლევდა, ომის გამოცხა-დებისთანავე დაცალიერდა და იქ წარმოე-ბა სავსებით შეწყდა. ამას უნდა მივუმა-ტოთ კიდევ აჭარიდან გამოქცეულები და სხვ. ჩვენი სოფელი დღეს ისედაც გამოფი-ტულია და საკუთარ თავს ვერ ირჩენს მო-უსავლობისა და ვაჭრობა-მრეწველობის და-ცემის გამო. ასეთ პირობებში გადმოხიზ-ნულთა დახმარება პირდაპირ აუცილებელი ხდება.

**„ზაკ, რეჩი“.**

**აჭარელთა პროცესის შესახებ.**

ჩვენ არ შეგვიძლია გაზეთის ფურცლებ-ზე მოვიგეროთ ყველა ის იერიშები, რაც მოაქვთ ჩვენზე, არ შეგვიძლიან საიდუმ-ლოს ავხსნათ პირი, რაც აჭარელთა გასა-მართლების დროს ხდებოდა კარ-დაკეტილ სამსჯავროს წინა, რომ როგორმე გვეშვე-ლა და საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა ის დაჩირქებული წყლული, რამაც სამსჯავრო სკამზე გამოაცხადა აჭარელნი როგორც სა-ხელმწიფო მოღალატენი... ეს წყლული შხამავს კავკასიას ხალხთა ორგანიზმის ეროვნულ სიცოცხლეს, ის შხამი გახლავთ კაცთმოძულეობისა, რითაც გამსჭვალულან ის პირნი, რომელნიც ვერაგულად გამოსუ-ლან და ამა და იმ რაღაც პრინციპის სა-ხელით ვითომც სამართალს მოითხოვენ...

## წერილი მეგობრისადმი.

III.

შენ თან და თან მირისხდები! იმის მაგიერ, რომ გულდასმით მოეჰყრო ჩემს შენიშვნებს, შენ გადმომდგარხარ და სა-ქვეყნოდ ჰყვირი: რეაქციონერი ხარ, ხუ-ლიგანი ხარო! კაცო, ერთი გამაგებინე, რად ვარ? იმიტომ რომ გლეხებს ვურ-ჩევ, მამული ხელიდან არ გაუშვათ და სადაც კი მოგხვდეთ იყიდეთ—მეთქი? ან იქნებ იმიტომ რომ ჩემის ერის უფლე-ბას უფრო ფართოდ ვაღიარებ, ვიდრე სხვა რომელიმე და მოვუწოდებ მდი-დარს, ღარიბს, გლეხს, აზნაურს, ნასწავლ უსწავლელს შეერთდნენ ამ დიად მიზ-ნის მისახწევად და როცა მიახწევენ, ვი-საც საით უნდა, იქით წავიდეს-მეთქი? ან იქნებ იმიტომ რომ ცხოვრება ორ „ბოროტებას“ მიყენებს: ერთს ჩემსას და მეორეს სხვისას და მეუბნება: რო-მელიც გინდა აირჩიეო. და მე კიდევ ჩვენს „ბოროტებას“ ვარჩევ?! აქ მე ვგუ-ლისხმობ კაპიტალს, ბურჟუაზიას. ასე იმიტომ გამოვსთქვი რომ შენ თვითონ მას „ბოროტებას“ ეძახი, რაშიაც დი-დად შემცდარი ხარ, და აი რატომ: შე დალოცვილო კაცი სოციალისტობ და კაპიტალს ეწინააღმდეგები. სოციალიზმი ხომ უნდა კაპიტალიზმმა შვას თავის წია-ღიდან. სოციალიზმის წინამორბედი და აუცილებლად წინამორბედი ხანა, თქვე-ნი მოძღვრების ძილათვე, ხომ კაპიტა-ლისტური ხანა და წარმოება უნდა იყოს? დასავლეთ ევროპაში სოციალიზმის აღ-მოცენებაც კაპიტალისტურ წარმოების ეპოქაში მოხდა. სოციალიზმს და სოცია-ლისტურ მოძრაობას ნიადაგი ჩვენში მა-შინ მიეცემა, როდესაც ნამდვილად გან-მტკიცდება კაპიტალისტური წარმოება და ბურჟუაზია გაღონიერდება, როდე-საც სიმდიდრე დაგროვდება და ქარხა-ნა-ზავოდები ქშინვას დაიწყებენ და ასი-ათასობით მუშებს შეაქუჩებენ. სოცია-ლისტი ოცნებობს სწორედ ამგვარ წარ-მოებისა და სიმდიდრის განსაზოგადოე-ბას. ქართველი სოციალისტიც, თუ უნდა მართლაც საძირკველი სინამდვილეში ეყა-როს, უნდა ცდილობდეს საქართველოში კაპიტალისტურ წარმოების განვითარე-ბას და ბურჟუაზიის გაღონიერებას. კა-პიტალიზმი საგანია თქვენი ბრძოლისა, თუ იგი არ იქნება, თქვენს ბრძოლას საგანი არ ექნება და უნდა გაუქმდეთ ისე, როგორც გაუქმებული იქნება ხორ-ბალს მოკლებული წისქვილი. თქვენ გჭი-რიათ კაპიტალისტური წარმოება და ბურჟუაზია საქართველოში რომ განზე გადგეს და იბრძოლოთ, თქვენს ყოფნას რომ მიეცეს ეგრედ წოდებული „raison d' être“. მაშ შენი სოციალი-ზმი რისთვის არის, რა უნდა განასაზოგადოს? ნუ თუ შენის აზრით მარტო მიწა? შენი ჯურის ფედერალის-

---

...იან ილიუზიას, მისთვის ბაგრატიო-...ი არ არის ისტორიული ანახრონიზ-... —ვაჟა—თითქო ერეკლეს ბანაკში ...ს თავის ლექსებს. ამგვარი ბუნება ...ს, ჯერ მარტო გერონტი ქიქოძემ ...ნო.

...ვროპის ომზე ვაჟამ სიკვდილის წინ ...ტოვა შედევრი; „ფშაველი ჯარის ...ის წერილი“. ამ ლექსის კომენტარია ... შეიძლება, ამ ლექსში მთელი ვაჟაა. ...ყოველი სტრიქონი სუნთქავს სიმარ-...ით, რომელიც მარტო ვაჟას შეუძ-... გახადოს ღვთაებრივად. აქ მთელი ...ნა, ცრუმორწმუნოება, გულის სი-...ლე, ვაჟკაცობა, ომის ცეცხლი და ...ჩელი ისეა გადაწნული, შექსოვილი, ...მ გაწამებს ჯადოქრობას. ერთი ხმა ... არი ომის ბოროტებაზე, ამას მგონია ... არ გაუვლია მის თავში, რადგან, ...როგორც ქართველი, ის იღებს ომს, რა ...ობებშიც უნდა იყოს იგი, მარტო ამ ...ს თვითმატარებელ ფასისთვის. მას ...ლოდ ის აწუხებს, რომ „სამშობლოს ...ელოს თავის ხარჯითა“. თუმცა უკვე ...ვი იპყრობს „ნეტავ თუ არ გვატირე-... ბოლოს ვაჟკაცურ შრომაზე“ და ეს ...რიქონები თითქო თქვენ თავში სამუ-...მოდ ამოიწვა:

ფიქრით შინა ვარ... საჩეჩლის
კბილების მესმის წკრიალი
გიცქერ მატყლს სჩეჩავ, ფარტენას
ცრემლი გისველებს ტიალი.
ეგ ხომ ჩემ საჩოხეთ გინდა
ნაკურთხი დედის ცრემლითა
არ გაიჭრება მახვილით
არ დაიწვება ცეცხლითა...

ცრემლი გისველებს თვალებს, რომ ...თხულობ ამ სტრიქონებს და იცი რომ ...პანელის წვიმა დაცხრილავს ამ ჩოხას, ...გრამ სიკვდილმა ყველაზე დიდ ფშა-...ლსაც მიაგნო და არ იცი, რომელზე ...ირო.

„სამშობლოში სამშობლოს“ მაძებარი ... მაყაშვილის ლექსი: „რაინდე სამშობ-...ლოს“ ბედნიერად გაირჩევა ბევრ ლექსი-...ან. მართალია ბევრია აქ სიტყვები და ...ტორიკა, ეს ლექსი ისე არ გასველებს ...რძნობით როგორც ვაჟასი, მაგრამ ამ ...ექსში მთელი ეროვნული ფილოსოფიაა ...მოთქმული, ამ ლექსის საფუძვლად შე-იძლება ჩადება, რომ შეიქნას თეორია „სილამაზისთვის ჯვარცმული ერის“, ჩვე-ნი მესიანიზმი სწორედ ამაზედ უნდა აღმოცენდეს; თვითონ ხალხშია გაბმული ამ შეგნების სხივები, მხოლოდ განათება ერგო კ. მაყაშვილს.

ამგვარი იდეები არის გატარებული გერონტი ქიქოძის წერილებში, რომლის ნაფიქრი, ნაზარი და ტანჯვით ნაყიდი სტრიქონები გაგონებენ „დამწვარ არ-ჩილს“ და რომელთაც უთუოდ ექნებათ ისტორიული მნიშვნელობა.

ამ ლექსში კ. მაყაშვილი საქართვე-ლოს ადარებს პატიოსან ლამანჩელ რა-ინდს დონ-კიხოტს, რომელიც სასაცილო გახდა მარტო იმისთვის, რომ დაიგვიანა თავის რაინდობით.. კ. მაყაშვილის გა-გება დონ-კიხოტის ძლიან ღრმაა: ის როგორც მხატვარი სატირიკოსი მიხვდა სერვანტესის მხატვრულ საიდუმლოს და გაიგო მთელი ტრაგედია დონ-კიხოტი-სა, რომელთანაც შედარებით უკვე ცნო-ბილი ტრაგედიები ძალიან დაკარგავდენ ფერს, შესაძლებელია ისეთი დიდებული სული, როგორიც დონ-კიხოტისა ჯერ ჩაებარებიათ შემოქმედს... დონ-კიხოტის ერის სიმბოლოთ გამოხატვა არ არის პირველი, თუმცა მე დარწმუნებული ვარ, რომ არის უშუალი...

წინ სამშობლოვ! შეასრულე რაინდული შენი ვალი,
ვაჰ მსოფლიოს დამჩაგვრელთა, ვაჰ ცხვრის ფარათ, წისქვილთ ბრალი,
შეჯექ მხცოვან როსინანტზე, გადალახე გზა-სავალი,
იქნებ **სულის სილამაზემ** მოგიპოვოს მომავალი!..

ის, ვინც შექმნა სამყარ-ძალით ძლი-ერით და უთვალავი ფერითა, ვინც არის უფალი ყოველ სულთა, დააფა-სებს მისგან შთაბერილ სულის სილამა-ზეს; კაცობრიობა იწამებს სილამაზის-თვის ჯვარცმულ ერს, გაუვლელ ჭაობში სიწმიდის და რაინდობის წალკოტს.

ამის შეგნებით ჩვენ უნდა ვცხოვრობ-დეთ, ამაზე ჩვენ უნდა ვსთქვათ მძლე სიმღერა, რაც ხმა გვაქვს ყელში...

ტ. ტაბიძე.

ქ. მოსკოვი.

ტი ჯერ არ შემხვედრია. შენ ნახევარი ესფერი ხარ, ნახევარი ესდეკი, ნახევარი ანარქისტი, ნახევარი მამულიშვილი და როგორც ბატს ეგონა, რომ კარგადაც დაფრინავს, კარგადაც დადის და კარგადაც დაცურავენ, ხოლო ნამდვილად არც ერთის შნო კი არა ჰქონდა,—შენი საქმეც ისეა, არ კი გეწყინოს! შენ ყურები გამოიფხიტე და გაიგე რომ სოციალისტებს უნდათ კაპიტალი გაძლიერდეს, მხოლოდ განზე რჩებიან და ვისი იქმნება ეს კაპიტალი, მათთვის სულ ერთია! მე კი ვამბობ, ბარემ „ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს-მეთქი“! ამიტომაც არის რომ, რაკი აუცილებელია ჩვენში ბურჟუაზიული ხანა განვითარდეს, მეც ქართველს ვუწყობ ხელს, მასთან მივდივარ, საჭირო სანოვაგეს თუ სხვა რამ მასალას ქართველისაგან ვყიდულობ; შენ ამას რომ ჰხედავ, მიკიჟინებ რამ გაგაგიჟაო. ქართველი ბურჟუა თავის სიმდიდრეს ქართველებშივე დაატრიალებს, აქ დაბადებულა, აქვე მოკვდება და თავის სიმდიდრეს თან ხომ არ ჩაიტანს, ან იმის ნათესავს მოეცხიობა რამე, ან იმის მოყვარეს, ქველმოქმედებას გამოიღებს—განა ამის მაგალითი ცოტაა ჩვენში! აბა, უცხო ვინ დაგვეხმარა?—უცხო უცხოსთვის არის გაგიჟია: „ყვავს თავის ბახალა მოსწონსო და მასვე ჰკვებავსო“!

რომ ჩვენს კაპიტალს ყოველის მხრით ხელი უნდა შევუწყოთ და ფრთა გავაშლევინოთ, ჩემი თუ არ გჯერა, მაშ შენს ამხანაგს ღ. ღლონტის დაერწმუნე. რავდენადაც მახსოვს, იგი თავის დაუსრულებელ ფელეტონებში სწორედ ამ აზრს ანვითარებდა, რატომ იმას არ უძახი ხულიგანს? იქმნებ არ წაგიკითხავს,—რა ჩემი ბრალია! წინდაწინ გადაწყვეტილი გაქვს, რაც უნდა სთქვა, უეჭველად უნდა ამიხირდე. შენი პროგრამა რომ დაიცვა, გადაჰბრუნდები და წინააღმდეგს მეტყვი. რა გინდა, ძმაო, ჩემგან? წინ რად მელობები! შენ არაფერს აკეთებ, მაშ ნება მიეც სხვამ მაინც გააკეთოს, თორემ ხომ იცი, დაგუბებული მდინარე გადაჰხეთქავს და შენისთანებს ათასს წაჰლეკავს.

მაგრამ თუ გინდა სწორე გითხრა, ჩვენმა წვრილმა თუ სხვილმა ბურჟუებმა ჩვენი წერილების შინაარსი რომ გაიგონ, გაეცინებათ და იტყვიან, მაგათ რა აჩხუბებთ, მაგათ ვინ რას ჰკითხავს, ჩვენ თვითონ ვიცით ჩვენი საქმისაო!

რაც შეეხება იმას, რომ მე მოვუწოდებ თავადს, გლეხს, სასულიერო წოდებას, კერძო მესაკუთრეს თუ ბოგანოს, რათა შეერთდნენ, იხსნან თავიანთი თავი განსაცდელისაგან, იხსნან თავიანთი კერა—ეს უფლებას არ გაძლევს შენ, რომ მე ამის გამო ანტიდემოკრატი ანუ ქართულად რომ ვსთქვათ ხალხის მოწინააღმდეგე თუ რეაქციონერი დამიძახო! კაცო, ციხე კოშკებს და ქარის წისქვილებს როდემდის უნდა ებრძოლო? რამდენია ჩვენში თავად აზნაური, შეძლებელი თუ ღარიბი? ასიათასს აღემატება! რამდენია სასულიერო წოდება? აუარებელი! რამდენია გლეხი არა სოციალისტი და კერძო მესაკუთრე —მთელი საქართველო! მაშ თუ ამათ ანგარიშში არ ჩააგდებ და ამ მთელს ძალას ჩვენის ქვეყნისას მამულის სასარგებლოდ არ წაიყვან, თუ ყველა ამათ არ შეაერთებ და ყველაზე არ დაეყრდნობი საერთო ეროვნული უფლებისა და ინტერესის დასაცავად, იმ უფლებისა რომელიც თანაბრად ძვირფასია ყოველი ქართველისათვის წოდებისა და სოციალი მდგომარეობის განურჩევლად, რა უნდა გააკეთოს შენმა შვილმა პროლეტარმა? შენა გგონია მე დავცინი ქართველ მუშა-პროლეტარებს? უმალ ცამ რისხვა მომავლინოს, თუ ეგ მოხდება! მე ვამბობ მარტო შვიდ სოციალისტზე არ შეიძლება დამყარდეს მთელი ერის ბედი და იღბალი-მეთქი! ეს იქმნებოდა ქვეყნის დამღუპველი დონკიხოტობა! ნამეტნავად დღეს ისეთი მომენტია, რომ ყველა ერთ ტაფაში იწვის, თუ ზოგიერთს თავადს, აზნაურს, მღვდელს, ვაჭარს და გლეხს ეს ვერ შეუგნია და თავის უნებურად მისი მოქმედება სამშობლოს წინააღმდეგ არის მიმართული, განა ქვა და ხვინჭა უნდა მივაყაროთ. ამით ხომ უფრო დავაფრთხეთ და მართლა მტრებად გადავიკიდეთ?

გეუბნები, ყველას ენერგია მამულის სასარგებლოდ უნდა მოვატრიალოთ: კეთილის სიტყვით, ჩაგონებით, დაყვავებით, **მმოგურგულებით**—თუ ეს რომელიმეს ყურში არ შევიდა და არ მიიღო, მაშინ სხვა საქმეა! დაე, ყველა შეერთდეს ერთ დიად მიზნის გარშემო, როგორც გწერდი! დაე, მათ ყველამ ერთი საერთო საქმე გააკეთონ და შემდეგ ყველას ღმერთმა თავის გზით უშველოს!

ვისაც უნდა ბოროტისკენ ექმნას პირი და ვისაც უნდა კიდევ კეთილისაკენ, მაშინ ჩვენ ყველას სათითაოდ ადვილად გავუსწორდებოდით: როგორც ზევით გითხარ, თუ ასე მოხერხდა და ყველამ მხარი მხარს მისცა, დამყარდა ერთსულოვნება, გარწმუნებ, გარეშე მტერი ვერაფერს დაგვაკლებს, თუნდ „გაუბიცებიდაც“ რომ წამოვიდეს! ეს ასეც მოხდება! ცხოვრება აქეთ მიგვაქანებს.

და სამწუხაროა, რომ შენისთანები ვერ ამჩნევენ და განყენებულ თეორიებით და მსჯელობით იბრუებენ თავს! ოცნება, ჩემო ძმაო, ადვილია! ამიტომ გვყვანან ამდენი მგოსნები! ჯოხი რომ გაიქნიო, ერთ-ერთს მოხვდება.—მთავარია საქმე, შავი მუშაობა. იქ იქნება სიცოცხლე. იქითკენ გაეშურე და მის გაჩაღებულ ფერხულში ჩაები და მაშინ დარწმუნდები, მაშინ გაიგებ, თუ ჩვენი ხალხისთვის, რა უფროა საჭირო!

ზოგი შემდეგისთვის იყოს.

**სოლნეს.**

## ორიოდე სიტყვა

— ჩვენი სოფლის ცხოვრების მაჯისცემა ყოველთვის ზანტად მოარული იყო. უმეტეს წილად იგი წააგავდა უფრო ერთ ადგილას შეჩერებულ რუს, რომელიც იმ შემთხვევაში დაიძვროდა ადგილიდან, თუ უკნიდან ახლად მოვარდნილი მდინარე მოადგებოდა. ასე მოხდა 1903—6 წლებში, რომლის შემდგომ ჩვენი სოფლის ცხოვრებას გაცხოველება დაეტყო. თქმა არ უნდა ჩვენი სოფლის ყოფა მდგომარეობა დღეს ბევრად უმჯობესი იქმნებოდა, რომ მაშინდელ გაცხოველებას სალი და ჩვენთვის საჭირო მიმართულება მიეღო.

დღევანდელ საერთაშორისო ომის დაწყებამდე ჩვენი მაჯა კვლავ ზანტად სცემდა.

მაგრამ გაისმა თუ არა მრისხანედ ზარბაზნის გრიალი, მოდუნებული სოფლის ცხოვრებაც შეინძრა. ყველას კარს საშინელი სასოწარმკვეთი გაჭირვება გამოეცხადა, აქ ჩვენმა სოფლებმა თვალები გაახილეს და თავის ხსნა ისევ საკუთარ შეკავშირებულ მოქმედებაში დაინახეს.

დღეს ომის გამოისობით უმთავრეს ძალას ანუ თავის წევრებს მოკლებული სოფელი ჰლამობს კავშირების მოწყობით და შეერთებული ძალით მიეგებოს კარს მომდგარ მრავალფეროვან გასაჭირს.

არც განათლებას სტოვებს უყურადღებოდ ჩვენი სოფელი.

უკიდურეს განსაცდელში მყოფი დღედღეზე შუამდგომლობას ჰძრავს მთავრობის წინაშე სკოლების გასახსნელად. ამ ჟამად საქართველოს ბევრ კუთხეში იხსნება პირველდაწყებითი უმაღლესი სკოლა.

ვამჩნევთ სოფლის გამოცოცხლებას და საქმიანობას, მაგრამ უნდა ვსთქვათ, რომ სოფელს ყოველ ნაბიჯის გადადგმა—საქმეში ეჭირვება ჩვენს ცხოვრებაში ჩახედული და დაკვირვებული გზის მაჩვენებელი დამხმარე.

წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება სოფელმა უცოდინარობისა გამო ისეთი ნაბიჯი გადასდგას, რომელიც მისთვის საზიანო იქმნება! ახალ პირველდაწყებითი სკოლების დაარსების დროს, საჭირო იყო ხალხისთვის გაეთვალისწინებინათ ამ სასწავლებლის პროგრამა და მოსალოდნელი სარგებლობა. აწ უკვე გახსნილ ახალ ტიპის სკოლებთან უნდა მოეწყოს სამეურნეო განყოფილებანი.

დამშეულ სოფლებს ეჭირვება გზის ჩვენება და მითითება თუ სად უნდა ეძიონ მათ დახმარება.

საქართველო არ არის ისეთი შეძლებული, რომ ყველა დამშეული თავის ძალღონით გამოკვებოს, ამიტომ საჭიროა ჩვენმა სოფლებმა შუამდგომლობა აღძრან რათა საიმპერიო დახმარების თანხიდან მათაც არგუნონ წვლილი.

**იმერთაგანი.**

## პროვინცია

**ს. მეჯვრისხევი.** როგორც გაზეთ „სახალხო ფურცლის“ მე-405 ნომერში წავიკითხე ქ. გორში „მანდილოსნი“-ს საზოგადოებას კვლავ გაუმართავს კრება, რომელზედაც დაუდგენიათ გახსნან ორკლასიანი უფასო საქალებო სკოლა ქ. გორში. კარგი და პატიოსანი. მაგრამ გასაკვირველი ის არის რომ „მანდილოსანი“ აქამდის თხოვნას არ უსრულებს მეჯვრისხეველ ქალებსა, რომელნიც ითვლებიან მანდილოსნის წევრებად დღიდან დაარსებისა ამ საზოგადოებისა. აგერ თიბათვის აქეთ სთხოვენ ფილიალური განყოფილების გახსნას, რასაც მოჰყვებოდა სახელოსნო სკოლის გახსნა, რასაც ასე სულით და გულით თხოულობს გლეხ-კაცობა.

ს. მეჯვრისხევში ამ ზაფხულს ორჯერ მოხდა ქალების კრება, რომელზედაც დიდძალი ქალები დაესწრნენ. ყველამ თავისი აზრი გამოთქვა. სხვათა შორის გლეხის ქალებმა ითხოვეს: „გაგვიხსენით ისეთი სკოლა, რომ ჩვენმა ქალებმა თავიანთი ტანისამოსის მოქსოვა შეიძლონო. არ გვინდა რაღაცა ქარგვასა და ნარღვევს ასწავლით, ეგენი ჩვენი გამოსადეგი არ არისო. კრებამ ითათბირა და დაადგინა: სთხოვოს „მანდილოსანის“ საზოგადოებას გაუხსნან ფილიალური განყოფილება და შემდეგ სკოლა, სადაც ქალები ისწავლიან ყდებზედ ქსოვას, ჯეჯიმისას, ტილოსას, სარფინკისას ეს უნდა ეთხოვა მანდილოსანს სახელსაქმო საზოგადოების ინსპექტორისთვის, რომელიც თავისი ხარჯით გამოუგზავნიდა მასწავლებელს ყდებს და ძაფს ავალებდა ნისიათ. ეს ყოველივე სთხოვეს მეჯვრისხეველმა ქალებმა თიბათვეში, განგებ გაგზავნეს ორი წარმომადგენელი, რომელთაც დაწვრილებით განუმარტეს მანდილოსნის თავმჯდომარეს და თითქმის ყველა გამგეობის წევრებსა. დაჰპირდნენ აღსრულებას მაგრამ ჯერ სად არის?!

მეჯვრისხეველმა ქალებმა მანდილოსნის საზოგადოებას ლოტარია ალეგრის გამართვაშიაც შეუწყეს ხელი, ნივთებისა, და სანოვაგის გამოგზავნით და თანადასწრებით. ეს გახლდათ მარიამობისთვეში, მაშინ კვლავ განუმეორეს თავიანთი თხოვნა, მაგრამ ამაოდ, დღეს ვკითხულობთ გაზეთში, რომ კიდევ სთხოვეს, ნეტა რამდენჯერ უნდა ითხოვონ! მიკვირს „მანდილოსანი“ რატომ არ აქცევს ყურადღებას მათ თხოვნასა! ნუ თუ ისე ძნელია! ან სასარგებლო არ არის?! გააფართოვეთ თქვენ მოქმედება, მოჰფინეთ სინათლე სოფლებს! პირიქით თქვენ უნდა გიხაროდეთ რომ პროვინციამ იმდენად გამოიღვიძა, რომ თითონვე გეხვეწებათ. ფილიალური განყოფილების გახსნით მეჯვრისხევის ქალებში განავითარებთ თვითმოქმედებას, სკოლის გახსნით კიდევ გამოიწვევთ სხვა და სხვა საქმიანობას.

სოფლად ქალები ნება-უნებურად გაიჩენენ ყაჭის ჭიას, გააკეთებენ აბრაშუმს, დაართავენ მატყლს, ისწავლიან ძაფების შეღებვას; ამას მოჰყვება საკვირაო სკოლა, სადაც ისწავლიან სოფლის დედაკაცები წერა-კითხვასა და ანგარიშს, რომ მათაც ისწავლონ ყდებზედ ქსოვა. და ასე ერთმანეთის წახედულობით სოფლად მეტი საქმიანობა გაჩაღდება.

როგორც ზევით მოგახსენეთ ასეთი სკოლა თითონ გლეხებმა ითხოვეს და თან დასძინდნენ: „ქალო, ჩვენ ვინ გვაღირსებს იმ ნაირ სკოლას, რომ ჩვენმა შვილებმა იმ სკოლის ცოდნით ისარგებლონ რამე, ქა, თითონ რომ მოქსოვონ თავიანთი საკაბე რაღა გვეჭირს! თუ კი მაგისთანა სკოლას გაგვიხსნით, უკანასკნელ საცხოვრებელს გავყიდით და ყველანი წევრებად ჩავეწერებითო; შემასაც მოუზიდავთ და ყველაფერს. ამ ტკბილის იმედით გაატარა გლეხის ქალმა ზაფხული.

სწორედ მაკვირვებს „მანდილოსანი“, რად აუხვია მეჯვრისხევის თხოვნას, რატომ აქამდის არ გაუხსნია ფილიალური განყოფილება და არ შეუდგა სკოლის მოწესრიგებას?

წ.-კ. საზოგადოებამ მაინც აიღოს მაგალითი საქართველოს ყველა კუთხეში გახსნას განყოფილება და აწარმოოს.

რად გაურბის პროვინციას მანდილოსანი?! ვგონებ ყველა ჩვენგანი ღრმად დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პროვინციაშია ჩვენი ხსნა, იგი თხოულობს და შველის მაგივრად მარტო ჰპირდებიან!.. ჩემის აზრით სულ მეტი იყო გორში საანბანო სკოლის გახსნა. იქ სხვებიც გახსნიდნენ მაგნაირ სკოლას, მეჯვრისხევში კი უფრო ნაყოფიერი და საჭირო იყო სწორედ სახელოსნო სკოლა, რადგან ამნაირი სკოლა მთელ მაზრაში მხოლოდ ქარელშია.

ამას ზედ დავუმატოთ ისიც, რომ იმ სკოლაში მოქსოვილი ქსოვილები შეიძლებოდა გასაღებულიყო გორის მანდილოსნის მაღაზიაში და ასე გაებმოდა ქსელი სოფლიდან ქალაქში ვაჭრობამრეწველობისა.

იმედია „მანდილოსანი“ მალე დააკმაყოფილებს მეჯვრის-ხევლების თხოვნას, გაუხსნის ფილიალურ განყოფილებას და იანვრიდან სახელოსნო სკოლას მოაწესრიგებს.

უკეთუ ეს არ მოხდა მაშინ მეჯვრისხეველი ქალები იძულებულნი იქნებიან სხვა რომელიმე საზოგადოებას მიჰმართონ, რომ მათ გაუხსნან ფილიალური განყოფილება და გაუწიონ პატრონობა და არა დედინაცვლობა.

**გულშემატკივარი.**

## დეპეშები

**პეტროგრადი.** 23 ოქტომბერს სამხედრო მინისტრთა საბჭომ დიდად მოიწონა პროექტი იმპერიის მცხოვრებთა ფიზიკურ სიმტკიცის დასამტკიცებლად. გამრავლებული იქნება ინსტრუქტორთა რიცხვი ახალგაზრდობის მოსამზადებლად, სასწავლებლებში უნდა ასწავლონ სამხედრო მოქმედება.

**რომი,** 23 ოქტომბერს მთიანს ადგილებში მძიმე ბურუსმა ხელი შეუშალა ზარბაზნის სროლას. მტერი უეცრივ დაგვეცა ბეცეკისა და მალგას რაიონში, მაგრამ ადვილად მოვიგერიეთ. აგრეთვე მტერმა სცადა პონტაფელის დაჭერა ფილას ღელეში, მაგრამ ვერას გახდა. მდ. იზონცოს ფრონტზე ბრძოლა გრძელდება ძველებური სიმკაცრით. ჩვენ ჩვენი პოზიციები გავიმაგრეთ, ვიდრე მტერი ხელმეორედ იერიშს მოიტანდა. გორიცისა და ასლავიის გარშემო სასტიკი ბრძოლაა. კარსოსთან მტერი ფრიად გამაგრებულია მავთულიანი ექლის ღობეებით და ახლოს არ უშვებს ჩვენს მოიერიშე რაზმებს. ნაბრეზიანო-რივილეს ხაზზე მატარებლების მიმოსვლა გაცხოველდა. მტერი სწრაფად იმაგრებს ზურგს, რადგანაც ჩვენ იერიშებს ვაცხოველებთ. 22 ოქტომბერს ჩვენი ჰიდროპლანი მორიცას ველზე დაეცა მტრის ბანაკს. მიუხედავად საშინელი ქარიშხალისა ჰიდროპლანი უვნებლად დაგვიბრუნდა.

**ბუქარესტი,** 22 ოქტომბერს კალაფატიდან იუწყებიან რუმინიის საზღვრებზე ერთი მეზღვაური დაიჭირეს, რომელიც გამოქცეულ სერბებს დუნაიზე გადასვლაში შველოდა. მეზღვაური ბულგარებს გადასცეს, რომელიც შეურაცხჰყვეს.

**ლონდონი,** 22 ოქტომბერს მეფემ მშვიდობიანად გაატარა ღამე. მადა მოუბრუნდა. თუმცა ჯერ კიდევ მეფე დიდს ტკივილებს ჰგრძნობს განსაკუთრებით მოძრაობის დროს.

**ათინა,** 22 ოქტ. მეფემ მოიწვია ყველა პარტიის წარმომადგენელი. სამინისტრო კრიზისი გადაწყდება. მრავალი გაზეთი ვენეზილოსის წინააღმდეგია და მოითხოვს სამინისტრო კრიზისის პასუხისმგებლობას. გაზეთი „პატრისი“ ამბობს: „საბერძნეთი იმდენად სერიოზულ მომენტს განიცდის, რომ ყველა პარტიის წარმომადგენლებმა უნდა ვილოცოთ რათა უბედურება აგვშორდეს თავიდანაო.

22, ოქტ. მეფემ კერძო აუდენციაზე მიიღო პოლიტიკურ ჯგუფთა მესვეურნი, რომელნიც კაბინეთის შემადგენლობაში შედიან ლიბერალურ პარტიის მესვეური და დეპუტატთა პალატის თავმჯდომარე ჯერ არ მოუწვევიათ. მეფე ხანგრძლივ ებაასა კაბინეთის წევრთ.

**პეტროგრადი.** 23 ოქტ. მინისტრთა საბჭომ გადასდო 6 მილიონი მანეთი რათა სამხრეთ-დასავლეთისა, ნიკოლაევსკსა და სამარო-ზლატოუსტოვის რკინის გზის სამოძრაო კაპიტალი გაძლიერებულ იქმნას. ასევე გადასდო 1 მილიონ 60,000 მანეთი პეტროვსკის ნავთსადგურის გასაფართოებლად.

**პარიზი,** 22 ოქტ. საღამოს ოფიციალი ცნობა. ლამბარძიულეს რაიონში ჩვენმა არტილერიამ მოწინააღმდეგეს სროლა აუტეხა თავგამოდებულმა გერმანელთა ბატარეამ, რომელნიც ჩვენს თხრილებს ზარბაზნებს ესროდნენ. გაცხარებული ბრძოლა სწარმოებს არტუასა და ქეიანშის რაიონში და აგრეთვე სომიდან დასავლეთით ბეკრენის და სესიეს რაიონში. შამპანში მთელის დღის განმავლობაში შოსანის რაიონსა და „199“ სიმაღლესა და მეზონიდე-შამპანის შუა გაცხარებული ბრძოლა სწარმოებდა. ამ ადგილებში პირველად მოწინააღმდეგე სრულიად განვდევნეთ ჩვენის თხრილებიდან რომელნიც ერთი დღის განმავლობაში მოწინააღმდეგის ხელთ იყო. გაცხარებულ ბრძოლის შემდეგ რამდენიმე ადგილი მცირე ფრონტის სიგრძეზე გერმანელებმა უკანვე და იბრუნეს. მეორე იერიში ლაკურთან უკუგდებულ იქმნა. ვოგეზასთან არტილერიის ბრძოლა განახლდა. ვიოლიას რაიონში გიცხარებული ბრძოლა სწარმოებს.

## მოწოდება

**მშობლებს და მასწავლებელ ქალებს!**

როგორც მოეხსენება მკითხველ საზოგადოებას გაზაფხულზედ ბ. შიო ქუჩიკაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის აღსანიშნავად აპირებდნენ გაემართათ საღამო ან დილა. მაგრამ რადგან სწავლა ადრე გათავდა და მოსწავლენი და მასწავლებელნი ადრე გავიდნენ სოფლად, ძნელი იყო იმისი მოწესრიგება. სასურველი იყო შიოს დღესასწაულზედ დასწრებულიყვნენ ის მოზარდი თაობა, რომელთაც თავისი მოხდენილი, მახვილი ლექსებით ასაზრდოებს ჩვენი შიო. აი ამ მიზეზით გადაიდო საღამო. მაშინ გადასწყვიტეს—გაემართად შემოდგომაზედ. აი შემოდგომაც მიდის, მაგრამ სამზადისში კი არავინ არის. საჭირო კია ამის მოწყობა. პატივი უნდა ეცეს ყველას ღირსეულად თავის დროზედ. თორემ ჩვენ რო ვიცით ისე არ ვარგა, მაშინ გაგვახსენდება როცა შველა და პატივისცემა გვიანღა არის ხოლმე.

ვიკისროთ ეს საქმე დედებმა და მასწავლებელმა ქალებმა, რადგანაც ერთნიც და მეორენიც ფართოდ ვსარგებლობთ შიოს ნაწერებით. შიო თავისი მოხდენილი ლექსებით გვიტკბობს შვილებსა და მოწაფეებს. შევიკრიფნეთ, მოვილაპარაკოთ, მივმართოთ, რომელიმე საზოგადოებას და მათი დახმარებით შეუდგეთ საქმეს.

ვისაც ჰსურს მონაწილეობა მიიღოს ამ საქმეში. ვთხოვთ მობრძანდნენ ოთხშაბათს 28 ოქტომბერს საღამოს 5 საათზედ ქალთა კრების სკოლაში, ბაანთ შესახვევი № 3. ა. ა—შვილი [illegible]

## გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die
> russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა უფასოდ გზავნის. ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingneustrasse, 48,
A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonniers qe guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія. Заказное.
>
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Croix Rouge.
>
> Agence des prisonniers de guerre
>
> Çeneve.

რედაქტორ-გამომცემელი
სანდრო შანშიაშვილი

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა და წნორისკენ დილ. | 8 ს. 5[illegible] |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღევის | 3 ს. 5[illegible] |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევის | 4 ს. 5[illegible] |
| თელავში მიდის ნაშუადღევის | 5 ს. 3[illegible] |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 1[illegible] |
| წნორზე მიდის | 5 ს. 1[illegible] |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისისკენ:**

| | |
|---|---|
| დილის | 8 ს. 5[illegible] |
| გურჯაანში მოდის | 10 ს. 2[illegible] |
| წნორიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 1[illegible] |
| გურჯაანში მიდის | 10 ს. 1[illegible] |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 4[illegible] |
| თბილისში ჩამოდის 5 საათზე. | |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. 54 წ. დღ[illegible] |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. 55 წ. სა[illegible] |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. 41 წ. სა[illegible] |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დი[illegible] |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დი[illegible] |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დი[illegible] |
| | „ საგარ. | 10 ს. 28 წ. სა[illegible] |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

**წიგნის მაღაზია**

## „ახალი სიტყვა“ („НОВАЯ РѢЧЬ“).

**ი. დ. კიკნაძისა.**

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირი ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს სასკოლოს, საბავშვოს და სხ.

განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილი წიგნები განსაკუთრებულ მორიგებით; ქალაქგარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში. (წ.—49)

## გამოცდილი მასწავლებელი ქალი

**ხელმისაწვდომ ფასად ამზადებს** ქალ-ვაჟთ გიმნაზიებისა და საკომერციო, რეალ და საქალაქო სასწავლებლებისათვის, აგრეთვე თბილისის ქართულ ვაჟთა და ქალთა გიმნაზიებისათვის. შეიძლება ოჯახშიც მიწვევა.

**მისამართი:** კირპიჩნის შესახვევი, № 12. ოთახი კალანდაძისა. ნახვა შეიძლება ყოველ-დღე. —8

**1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა**

## „განათლება“

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნი ა. ალდონისა **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“**—მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“**—ბეგლარ ახოსპირელისა, **„კოოპერატივები იტალიაში“**—ნ. ჟორდანიასი და სხვადასხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, почт. ящ. № 96, Сильвеструр Р. Таварткиладзе.

**კანტორის ადრესი:** Ольгинская 6.

## თევზის მრეწველნი

## ძმ. ძეგველოვები

**პუშკინის ქუჩა, საკუთ, სახ, № 9, ტელეფონი № 712.**

## განყოფილება ავლაბარში

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ჩოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. **„ლ, მაილოვის-შვილ“**, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი **„მეშოჩნი“** ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ., № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან